ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ, ᲨᲔᲔᲠᲗᲦᲘᲗ!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

კომუნისტი ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი
15 აგვისტო
1939 წ.
№ 186 (5586)
ფასი 10 კაპ.

ნავთის მნიშვნელობაზე დაპარაკი ზედმეტია. ყველას ესმის, რომ ახლა არ შეიძლება ვუყუროთ ნავთს მხოლოდ სათბობის, ენერგეტიკული თვალსაზრისით. ყველას ესმის, რომ უნავთოდ არც ტრაქტორი გვექნება. ხოლო თუ ტრაქტორი არ არის—პური და ბამბა არ იქნება. უნავთოდ არც ავტომობილი იქნება, არც ავიაცია. **ლ. მ. კაგანოვიჩი**

ერთიანი ბიბლიოთეკა



პატარა შირაქის № 6 საძიებო ჭაბურღილის მბურღავთა ერთ-ერთი სტახანოვური ვახტი. პირველ რიგში მარცხნიდან მარჯვნივ: **შაქრო მარტყობელაშვილი** და **სიმონ ბობრინოვი**; მეორე რიგში მარცხნიდან მარჯვნივ: **გაბრიელ სუხოვი, ვლასი მარახოვსკი** და **ფილიპე კოპულოვი**; № 6 ჭაბურღილის უფროსი **სიმონ ჯანბერიძე**; ჭაბურღილი № 6.

ფოტო ე. სილდირიანცისა

განვავითაროთ ნავთის მრეწველობა

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის რეზოლუცია, მიღებული ამხანაგ **მოლოტოვის** მოხსენების გამო მესამე ხუთწლიანი გეგმის შესახებ, მოითხოვს, რომ:

„ყოველნაირად განვითარდეს ქვანახშირისა და ნავთის მრეწველობის დარგები, რომლებიც ქვეყნის მთელი სახალხო მეურნეობის სათბობის ბაზას წარმოადგენენ... ნავთის ამოღებისა და ნავთის გადამუშავების პროგრამა უზრუნველყოფილ იქნას გეოლოგიურ - საძიებო სამუშაოთა სწრაფი განვითარებითა და ნავთის მრეწველობის ყველა დარგში მაღალი ტექნიკის დანერგვით“.

ზედმეტია იმის მტკიცება, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს ნავთს ჩვენი სახალხო მეურნეობის სწრაფი განვითარებისათვის. ნავთი არის არა მარტო სათბობი, უნავთოდ არ გვექნებოდა არც ტრაქტორი, არც ავტომობილი, არც ავიაცია, — ამბობდა პარტიის XVIII ყრილობაზე ამხ. **ლ. მ. კაგანოვიჩი.**

საქართველოში აღწერილია 700-მდე სხვადასხვა პუნქტი, სადაც არის ნიშნები, რომ მოიპოვება ნავთი; ნავთის საერთო მარაგი საქართველოში ნახევარ მილიარდ ტონას აღწევს, ეს უდიდესი მარაგია.

მირზაანში, პატარა შირაქში, ნორიო-მარტყოფში და სუფსა-ომფარეთში მიმდინარეობს ინტენსიური საძიებო და საექსპლოატაციო ბურღვა. ამხანაგ **ლ. პ. ბერიას** ინიციატივითა და უშუალო მზრუნველობით საქართველოს ნავთის საბადოების კვლევა-ძიება და დამუშავება სწრაფად მიდის წინ. 1940 წლის ბოლოსათვის ნავთის სადღეღამისო ამოღება საქართველოში 1.000 ტონას უნდა შეადგენდეს.

„მნიშვნელობა აქვს — მიგვითითებდა ამხ. **ლ. ბერია** — არა მარტო ბურღვის გეგმის შესრულებას, არამედ ბურღვა ისე უნდა მოეწყოს, რომ ნავთის გამოსაკვლევი ფენების მდებარეობისა და სიმძლავრის გამორკვევასთან ერთად მივიღოთ სამრეწველო ნავთი“.

სტალინური სახკომის ამხ. **ლ. მ. კაგანოვიჩის** № 93 ბრძანებით ორდენოსანი საქართველოს დედაქალაქში შექმნილია სპეციალური ტრესტი, რომლის დანიშნულებას შეადგენს საქართველოს ნავთის საბადოების კვლევა-ძიება და მათი სამრეწველო განვითარების უზრუნველყოფა, ნავთის მრეწველობის ყოველმხრივ გაზრდა საქართველოს სს რესპუბლიკაში.

მიმდინარე წლის საძიებო და საექსპლოატაციო ბურღვის გეგმები საქართველოს ნავთის მრეწველობის გრანდიოზულ პერსპექტივებს ასახავენ და დიდ ამოცანებს აყენებენ საქნავთის მუშაკთა კოლექტივის წინაშე, რომელიც ამასწინათ უკრაინის ნავთის მუშაკებმა გამოიწვიეს სოციალისტურ შეჯიბრებაში წლიური საწარმოო გეგმის შესრულებისათვის. საქნავთის მუშაკები დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ მოძმე რესპუბლიკის ნავთის მუშაკების ამ მომართვას და ადგილზე მისი დამუშავების დროს აღეს კონკრეტული ვალდებულებები მესამე სტალინური ხუთწლედის მეორე წლის გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის.

დღეს თბილისში იხსნება საქნავთის მუშაკთა სამეურნეო აქტივის თათბირი. თათბირი ბოლშევიკურ ახალიზს გაუკეთებს განვლილ გზას, დასახავს ღონისძიებებს საწარმოო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის ამხანაგ **ლ. მ. კაგანოვიჩის** ბრძანების განუხრელად გატარების საფუძველზე.

ნავთის ახალგაზრდა მრეწველობამ საქართველოში დიდ აღმავლობას მიაღწია. ნავთის ამოღება 1937 და 1938 წლებში 1932 წელთან შედარებით შეადგენდა შესაბამისად 225,6 და 359 პროცენტს. ზრდა მიმდინარე წელს 1938 წელთან შედარებით 121,6 პროცენტს შეადგენს.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ, მიუხედავად ამისა, მიმდინარე წლის 7 თვის გეგმა არადამაკმაყოფილებლადაა შესრულებული. მაგალითად, ნავთის ამოღების გეგმა შესრულებულია მხოლოდ 57,7 პროცენტით, საძიებო ბურღვისა — 80,9-ით, ხოლო საექსპლოატაციო ბურღვისა — 90,2 პროცენტით. თვითეული გაბურღილი მეტრი საძიებო ჭაბურღილისა ფაქტიურად ხდება 560 მანეთამდე 330 მანეთის ნაცვლად, ხოლო საექსპლოატაციო ჭაბურღილისა — 332 მანეთი 300 მანეთის ნაცვლად. ამის გამო მიმდინარე წლის პირველ ნახევარში გადახარჯვა ბურღვაში 2,5 მილიონ მანეთს აღწევს.

ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მივაღწიოთ ბურღვის გეგმების გადაჭარბებით შესრულებას და გადახარჯვის მთლიანად ლიკვიდაციას საექსპლოატაციო და საძიებო ბურღვისათვის მატერიალური ბაზის შექმნისა და სამეურნეო ანგარიშის მტკიცედ დანერგვის საფუძველზე მირზაანში, სუფსასა და ნორიოში. უნდა გაიშალოს ბოლშევიკური ბრძოლა ბურღვის თვითღირებულების მაქსიმალურად შემცირებისა და შრომის დისციპლინის განუხრელად განმტკიცებისათვის ჭაბურღილებზე.

საქართველოს ნავთის მრეწველობაში ბევრია მოწინავე ადამიანები, საუკეთესო სტახანოველები, რომლებიც სოციალისტური შრომის საუცხოო მაგალითებს იძლევიან. ასე, მაგალითად, სტახანოვური მუშაობის სანიმუშო მაგალითებს გვიჩვენებენ ჭაბურღილის საძიებო № 6 ჭაბურღილის (უფროსი — ამხ. ჯანბერიძე) მუშაკები. ისინი ყოველთვიურ გეგმას 200-250 პროცენტით ასრულებენ. ზოგჯერ დღეღამეში ბურღავენ 75 მეტრს 10 მეტრის ნაცვლად, მაშ ერთი სატეხით გაბურღეს 195 მეტრი.

მირზაანის ნავთის ამოღების ოსტატმა ამხ. დავიდიანმა, რომელიც მეორე უბანს ხელმძღვანელობს, მთელ რიგ რაციონალიზატორულ გაუმჯობესებათა გატარებით ნავთის ამოღება 14 ტონიდან 22 ტონამდე გაზარდა. ჭაბურღილის უფროსი ამხ. ხუმარიანი ვადაზე ადრე ამთავრებს ბურღვას, ბურღავს უავარიოდ და ჭაბურღილის გაუმრუდებლად. იგი ჭაბურღილის გაშვების წინ იწვევს ბრიგადის თათბირს, რომელსაც აცნობს ჭაბურღილის წინაშე დასმულ ამოცანას. მოწინავე ადამიანების ეს გამოცდილება ფართოდ უნდა დავნერგოთ ყველა ჭაბურღილზე და მივაღწიოთ ბურღვის სწრაფის მკვეთრად გაუმჯობესებას, რადგან „ბურღვის გარეშე შეუძლებელია ჭაბურღილების რიცხვის ზრდა და, მაშასადამე, ამოღების ზრდაც“ (ლ. მ. კაგანოვიჩი).

ამხ. კაგანოვიჩის № 93 ბრძანების საფუძველზე საქნავთი განმტკიცებულია მაღალკვალიფიციური მუშაკებით, რომლებმაც ფართოდ იწყეს დანერგვა ბაქოსა და გროზნოს ნავთის მრეწველობის მდიდარი გამოცდილებისა საქართველოში და გვირჩევნეს სტახანოვური მუშაობის სანიმუშო მაგალითები. მირზაანში, ნორიოსა და სუფსაში 500-მდე კაცი ჩაბმულია სწავლებაში და წარმატებით ეუფლება ნავთის მრეწველობის მოწინავე ტექნიკას.

ახლოვდება სტახანოვური მოძრაობის დასაწყისის თარიღი — 31 აგვისტო. ამ დღეს საქნავთის მუშაკები უნდა შეხვდნენ სოციალისტური შეჯიბრების ახალი პირობებით და ბურღვისა და ნავთის ამოღების გეგმების გადაჭარბებით შესრულებით.

სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს საქნავთის სისტემაში მეცნიერულ-საკვლევო მუშაობის გაშლას ნავთის ახალი საბადოების ყოველმხრივ შესწავლის მიზნით.

ნავთის რაიონების პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების ღირსების საქმეა ყურადღებით მოეკიდონ ნავთის მრეწველობის ყოველმხრივ განვითარების საქმეს და უზრუნველჰყონ ადგილებზე ბოლშევიკური ბრძოლის გაშლა საქართველოს ნავთის ახალგაზრდა მრეწველობის ნამდვილი ღმავლობისათვის.

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა

ექსკურსანტთა აღფაცება საქართველოს პავილიონით

მოსკოვი, 14 აგვისტო. (**ბილდაპარატით ჩვენი საკ. კორ.**). 12 აგვისტოს საქართველოს პავილიონი ინახულა 70 ორგანიზებულმა ექსკურსიამ. პავილიონი დეტალურად დაათვალიერა სამხრეთ-ოსეთის სოფლის წარჩინებული ადამიანების ჯგუფმა, რომელიც ეს არის ჩამოვიდა მოსკოვში.

პავილიონის დარბაზებში ერთ საათამდე დაჰყვეს მოსკოვის სტალინის სახელობის ავტოქარხნის სტახანოველებმა, ექსკურსანტებმა კარელიის ასს რესპუბლიკიდან და მურმანსკის მხარიდან.

პავილიონის მუშაკები სიხარულით შეეგებნენ აგრეთვე „ლუმანიტეს“ მიერ მოწყობილი ექსკურსიის მონაწილეთა ჯგუფს საფრანგეთიდან.

ამ ჯგუფის შემადგენლობაში შედის პარიზისა და მისი გარეუბნების 45 მუშა. პავილიონში მათ დაჰყვეს ნახევარ საათამდე და მნახველთა წიგნში ჩასწერეს თავიანთი აღტაცება. პარიზელმა ამხანაგებმა მზურვალე მადლობა გადაუხადეს საქართველოს პავილიონის ორგანიზატორებსა და მშენებლებს და თავიანთი აღტაცება გამოსთქვეს საქართველოს სოციალისტური მიწათმოქმედების წარმატებათა გამო. ორანჟერეაში მათი ყურადღება მიიპყრო ქინაქინის ხისა და ეთეროვან-ზეთოვანი კულტურების სტენდებმა. ექსკურსიის ხელმძღვანელმა, რომელიც მათ ახლდა, გადაუთარგმნა მათ ამხანაგ **ლ. ბერიას** სიტყვები, რომლებიც წარმოადგენენ ეთეროვან-ზეთოვანი კულტურების სტენდის ლოზუნგს: „ჩვენ უახლოეს წლებში უნდა დავაკმაყოფილოთ საპარფიუმერიო მრეწველობის მოთხოვნილება გერანის ზეთზე“.

გამოფენაზე თავიანთ მარშრუტს რომ განაგრძობდნენ, „ლუმანიტეს“ ექსკურსანტები საქართველოს კიდევ სამჯერ შეხვდნენ, — ეს იყო ვეტერინარიის პავილიონში, მეძაღლეობის პავილიონში და, ბოლოს, თამბაქოს პლანტაციების ტერიტორიაზე. ვეტერინარიის პავილიონში ექსკურსიის ხელმძღვანელმა ისინი მიიყვანა საქართველოს დიდ რუკასთან, რომელიც გამოხატავს საველტერინარო ქსელის ზრდას. 1912 წელს საქართველოში იყო მხოლოდ ერთი საველტერინარო სამკურნალო, ხოლო 1938 წელს — 22.

მეძაღლეობის პავილიონში ჩვენი სტუმრების ყურადღება მიიპყრეს საუცხოო კავკასიურმა მეცხვარის ძაღლებმა, მგლებისაგან საკოლმეურნეო ფარების მამაცმა დამცველებმა. ესენი არიან ხუთი წლის „ბასარი“ და 6 წლის „ჯაბო“ წითელწყაროს რაიონის ელდარის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობიდან, სამი წლის „ჯუმა“ იმავე რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობიდან და „ბოზარი“ თელავის რაიონის შინსახკომის სახელობის კოლმეურნეობიდან. „ბოზარმა“ გამოფენაზე ფრიადი შეფასება მიიღო. ამ ძაღლმა თავი შეაყვარა პავილიონის მნახველებს.

თავიანთი ხანგრძლივი ექსკურსიის დამთავრებისას, მინურინის ზღაპრული ბაღიდან რომ გამოდიოდნენ, „ლუმანიტეს“ ექსკურსანტები ალმოჩნდნენ ბრინჯაოსა და თამბაქოს პლანტაციებზე, სადაც საპატიო ადგილი უჭირავთ თამბაქოს სხვადასხვა აფხაზურ ჯიშებს. ეს არის ტრაპიზონი 1867 და 15. სამსონი 27 და 294, მწარის სამსუნი 1.857. თითქმის ადამიანის სიმაღლის ფართო ფოთლებიანმა თამბაქოს ბუჩქებმა ჩვენი ფრანგი სტუმრების მხრივ ქების რამდენიმე შენიშვნა გამოიწვია.

გუშინ საქართველოს პავილიონი დაათვალიერა ესტონეთის მიწათმოქმედების მინისტრმა, რომელმაც ინახულა გამოფენა.

დამწიფდა ღიმონი

სრულიად - საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის საქართველოს სსრ პავილიონის ორანჟერეაში რამდენიმე თვის წინათ დარგულ იქნა ღიმონი და მანდარინი. თებერვალში ეს ხეები ყვაოდა. ახლა უკვე მზად არის პირველი მოსავალი—ლამაზი, ნოყიერი ნაყოფი. ექსკურსანტები ინტერესით ათვალიერებენ ხეებზე ყვითელ მწიფე ნაყოფს.

12 აგვისტოს აჭარიდან მიღებულ იქნა 16 ეკალიპტის ხე. ზოგიერთი მათგანი ათ მეტრამდე სიმაღლისაა. ეს ხეები დარგული იქნება პავილიონის იქით მდებარე ნაკვეთზე. მოელიან ციტრუსოვანი ხეების ახალ პარტიას.

სასპორტო ქალაქის გახსნა

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენას შეემატა ახალი შესანიშნავი ადგილი დამთვალიერებელთა დასასვენებლად და გასართობად. 12 აგვისტოს დასვენების ზონაში ძერჟინსკის სახელობის პარკის ტერიტორიაზე გაიხსნა სასპორტო ქალაქი.

ქალაქი, რომელსაც 4 ჰექტარი ტერიტორია უკავია, მთლიანად ჩაფლულია მწვანე ნარგავებში. აქ მოწყობილია ფრენბურთის ხუთი მოედანი, ტენისის ორი კორტი, კალათბურთის მინდორი, სპეციალური მოედანი ნორმების ჩასაბარებლად მშთ ნიშანზე და სხვ.

ქალაქის გახსნაში მონაწილეობა მიიღო სასპორტო საზოგადოება „დინამოს“ 1.500 ფიზკულტურელმა.

ნოვაციები

მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის აგრონომიულ ლაბორატორიაში, რომელიც მოთავსებულია სრულიად - საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის განყოფილებაში „ახალი რამ სოფლად“, ჰაეარა, მაღალი კაცი, რომელსაც მკერდზე ლენინის ორდენი აქვს გაკეთებული, ახსნა-განმარტებას აძლევს მრავალ დამთვალიერებელს. თუ მარცხნივ გაიხედავთ, რუქებითა და დიაგრამებით დაფარული კედლისაკენ, შეგიძლიათ თვალი მოჰკრათ ნიკოლაევის ოლქის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის ქიმ-ლაბორატორიის გამგის ფოტოსურათს. სურათის ქვეშ წარწერაა: დ. ფ. დოგი.

— მაშ ეს თქვენა ხართ ამხანაგო დოგი? — ეკითხება მრავალი დამთვალიერებელი და აკვირდება ჰაეარა ადამიანს.

— დიახ, ეს მე ვარ, — სწრაფად უპასუხებს ის და განაგრძობს თავის ამბავს:

— ჩვენი ქიმი 1935 წლიდან არსებობს. და ამ ხნიდან მე ამ ქიმის გამგე ვარ. რას აკეთებს საკოლმეურნეო აგროლაბორატორია?

რაიონში ჩვენ პირველებმა დავიწყეთ კარტოფილის ზაფხულში თესვა. მოსავალი ჰექტარზე 110 ცენტნერია. კოლმეურნეობაში ჩვენ პირველებმა ჩავატარეთ ხორბლის, ქერისა და კარტოფილის ბოლქვის გაახალთესლება. ადგილობრივი ჯიშის ხორბლის შეჯვარება მსოფლიო კოლექციის ჯიშებთან. წელს უკვე პირველი, მეორე და მესამე მოდგმის ჰიბრიდები დავთესეთ. შესანიშნავი მოსავალი მივიღეთ. 4 ჯიში გადარჩენილია მომავალ გაზაფხულზე მასობრივი გამრავლებისათვის. აგრონომიულმა ლაბორატორიამ დათესა „სარეკორდო მოსავლის ნაკვეთები“—8 ჰექტ.. ქერი, 10 ჰექტ. ბამბა, 2 ჰექტ. პამიდორი, 2 ჰექტარი საგაზაფხულო ხორბალი კოლმეურნეობაში გამრავლებული ჯიშისა — „ლიუტესცენს 1163“. შარშან 17 ჰექტარის ფართობზე აღებული იყო ჰექტარზე 32,1 ცენტნერი ქერი, ხოლო 4 ჰექტარზე —42 ცენტნერიც თვითეულ ჰექტარზე. ქიმ-ლაბორატორიის შემოაქვს საკოლმეურნეო მემინდვრეობაში ახალი კულტურები — არახისი, ლუფა, ჩინა. შარშან არახისი უკვე 10 ჰექტარზე იყო დათესილი...

— თქვენ აგრონომიული განათლება გაქვთ მიღებული? — ეკითხება ერთი დამთვალიერებელთაგანი ამხ. დოგის.

— არა, მე ჩემთავად ვისწავლე. უხვი ძოსავლის „გულშემატკივარი“ ვარ, — ხუმრობს ამხ. დოგი.

ასეთი კოლმეურნე „მცდელი“ — აგრონომები და თვითნასწავლი მეცნიერები, უხვი მოსავლის „გულშემატკივრები“, ცოტანი როდი არიან სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეთა შორის. ესენი არიან დიადი საკოლმეურნეო მოძრაობით წარმოშობილი ნამდვილი ნოვატორები.

მთავარი პავილიონის ერთერთ სტენდზე გამოხატულია მინიატურულად ჩელიაბინსკის ოლქის შაჰდრინსკის რაიონის კოლმეურნეობა „ზაველი ილიჩას“ აგროლაბორატორიის საცდელი ნაკვეთი. ამ საცდელ ნაკვეთს 1930 წლიდან განაგებს კოლმეურნე-მცდელი ამხ. ს. მალცევი, ნამდვილი მეცნიერი, თუმცა მას არასოდეს არ უსწავლია სკოლებსა და ინსტიტუტებში, დარვინისტი-ენტუზიასტი. ის აწარმოებს ხორბლის გადაქცევას მარილის გამძლე მცენარედ, ცდილობს, რომ ხორბალი მლაშობ ნიადაგებზეც უხვ მოსავალს იძლეოდეს. მისი მეცნიერული მუშაობის გაქანება მეტად დიდია. ეს მუშაობა კარგად მოწყობილ ლაბორატორიაშიც სწარმოებს (კოლმეურნეობამ ამ ლაბორატორიაზე 18 ათასი მანეთი დახარჯა) და ათასობით მინდვრის ნაკვეთებზეც.

„მარცვლეულის“ პავილიონის დარბაზში—„მეცნიერება“ დამთვალიერებლები ეცნობიან რამდენიმე მცდელს, რომელთაც მთელს საბჭოთა ქვეყანაში გაითქვეს სახელი.

აი საბჭოთა კავშირში საყოველთაოდ ცნობილი პირველი გაახალმთესლებელი დ. ნ. ლისენკო, პოლტავის ოლქის კარლოვკის რაიონის კოლმეურნეობა „ბოლშევიტსკი ტრუდის“ ხოხ-ლაბორატორიის გამგე. ათი წლის წინათ მან თავისი შვილის — ახლა ცნობილი აკადემიკოსის —რჩევით დათესა საზამთრო ხორბლის „უკრაინკის“ გაახალთესლებული თესლი. პირველმავე ცდამ ბრწყინვალედ დაამტკიცა, რომ სპეციალური დამუშავების საშუალებით შესაძლებელია საზამთრო კულტურების საგაზაფხულო კულტურებად გადაქცევა.

ალტაის მხარის წარჩინებულმა მცდელმა ი. ე. ჩუმანოვმა, რომლის შესახებ საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე თავის სიტყვაში ლაპარაკობდა ამხ. ანდრეევი, 1937 წელს მსოფლიო რეკორდი დაამყარა: მან ჰექტარზე 512 ფუთი საგაზაფხულო ხორბალი აიღო.

ვოლოგდის ოლქის პრიშეკსნინსკის რაიონში არტელ „ზარია სვობოდის“ რიგითმა კოლმეურნემ ა. ნ. სეროვმა გამოიყვანა ახალი ხორბლის შესანიშნავი ჯიში „ცალთავთავა“, რომელიც გუდაფშუტისა და ჩაწოლის გამძლეა. ტაჯიკეთის მუშინაბადის რაიონში, ოქტომბრის XIV წლისთავის სახელობის არტელის კოლმეურნე ყურბან ნაზაროვმა თავისი ცდების შედეგად ბრინჯის სარეკორდო მოსავალი — ჰექტარზე 87 ცენტნერი ნედლეული აიღო.

არ არის სოციალისტური სოფლის მეურნეობის ისეთი დარგი, სადაც კოლმეურნე - ნოვატორის დაკვირვებულ გონებას არ მოეტანოს ხელშესახები სარგებლობა. აზერბაიჯანის ლაჩინის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მწყემსმა 83 წლის ჰასან ჯუმშუდ-ოღლიმ შარშან ყოველ 100 დედა-ცხვარზე მერინოსის მეტისის ჯიშის 164 კრავი გამოზარდა. 1937-38 წლებში მთელმა საკოლმეურნეო ფერმამ ჰასანის მეთოდით საშუალოდ 146 კრავი გამოზარდა ყოველ 100 დედა-ცხვარზე. ამას მჭერმეტყველურად გვიჩვენებს აზერბაიჯანის სსრ პავილიონის ერთერთი სტენდი.

„ისედაც ხდება, რომ ზოგჯერ მეცნიერებას და ტექნიკას ახალ გზებს უკაფავენ არა მეცნიერებაში საყოველთაოდ ცნობილი ადამიანები, არამედ მეცნიერებაში სრულიად უცნობი ადმიანები, უბრალო ადამიანები, პრაქტიკოსები, საქმის ნოვატორები“.

კოლმეურნე - მცდელების მუშაობა, რომლის დემონსტრაციაც ხდება სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე, შესანიშნავი ილუსტრაციაა ამხანაგ სტალინის ამ სიტყვებისა. (საკდესი).

თვითმფრინავი „როდინა“ მოსკოვს ბრუნდება

ხაბაროვსკი, 13 აგვისტო (საკდესი). ლეგენდარული თვითმფრინავი „როდინა“, რომლითაც ერთი წლის წინათ საბჭოთა გმირმა ჭკალოვმა ამხ. გრიზოდუბოვამ, ოსიპენკომ და რასკოვამ ძირდაუშვებელი გადაფრენა მოახდინეს მოსკოვი-შორეული აღმოსავლეთის მარშრუტით მოსკოვს ბრუნდება.

გუშინ თვითმფრინავი „როდინა“ ამურის კომსომოლსკიდან ხაბაროვსკს ჩავიდა.

მოსკოვისაკენ გაფრენა განზრახულია 14 აგვისტოს.

○

ხაბაროვსკი, 14 აგვისტო (საკდესი). დღეს, დილის 8 საათსა და 55 წუთზე ადგილობრივი დროით, ლეგენდარული თვითმფრინავი „როდინა“ ხაბაროვსკის აეროდრომიდან აფრინდა და კურსი აიღო მოსკოვისაკენ.

გაჩერდაისვარა მხავსვაკი ი. ი. ბროდსკი

ლენინგრადი, 14 აგვისტო (საკდესი). დღეს, 12 საათსა და 30 წუთზე, ხანგრძლივი მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა უდიდესი საბჭოთა მხატვარი, სრულიად-რუსეთის სამხატვრო აკადემიის დირექტორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ორდენოსანი ისააკ იზრაილის-ძე ბროდსკი.

გიგანტური საჰაერო ხომალდი „სსსრ ლ—760“

მოსკოვს მოფრინდა გიგანტური ექვსმოტორიანი სამგზავრო თვითმფრინავი „სსსრ ლ—760“, რომელიც აგებულია ერთერთ საავიაციო ქარხანაში საჰაერო ხომალდ „მაქსიმ გორკის“ ტიპის მიხედვით. ხომალდში იმყოფებოდა 17 კაცი.

ახალი თვითმფრინავი წარმოადგენს მონოპლანს, რომლის ფრთების სიგანე 63 მეტრს აღწევს. ის აღჭურვილია ექვსი ძოტორით, რომელთა საერთო სიმძლავრე 7 ათას ცხენძალას აღემატება. თვითმფრინავი იწონის 31 ტონას, ხოლო სრული კომერციული დატვირთვით—45-მდე ტონას.

„მაქსიმ გორკისაგან“ განსხვავებით, რომელიც საგიტაციო თვითმფრინავს წარმოადგენდა, „სსსრ ლ-760“ სამგზავრო მანქანაა. მას ერთდროულად შეუძლია ჰაერში აიყვანოს 72 კაცი. თვითმფრინავის წინა ნაწილში მოწყობილია სალონი 14 კაცისათვის. ფრთებში 4 საწოლი კუპეა. ამ კუპეში შეიძლება მოთავსდეს 16 მგზავრი. თვითმფრინავის ფიუზელაჟში მოწყობილია სამი საცხოვრებელი ოთახისაგან შემდგარი ბინა. ბინაში შედის სამზარეულო, სააბაზანო და ტუალეტი.

ექვსი ძოტორისაგან ორი დგას ფრთების ცენტროპლანში, ორი ფრთების ბოლოებში და ორი ფიუზელაჟის ცხვირში. ძოტორები ფრთებში ისეა მოთავსებული, რომ ფრთების ზედაპირი ძოტორების ირგვლივ ქმნის ფრთების ნაწილებს, რომლებიც ხელს უწყობენ ფრთების ამწევი ძალის გაზრდას.

ამ ძოტორების ირგვლივ ფრთების ნაწილების ფორმა ხელს უწყობს ძოტორების უკეთ გაგრილებას.

ფრთების ბოლოებში მოთავსებულია ორი ბორბალი, ხოლო ფიუზელაჟის ცხვირში — ერთი ბორბალი. ბორბლები ფრთებში ისეა მოთავსებული, რომ ფრენის დროს ისინი ფრთების ზედაპირის ნაწილებს ქმნიან.

ფრენის დროს ბორბლები ფრთებიდან გამოდის ფრთების ბოლოებში მოთავსებული სპეციალური ძალოვანი ბერკეტების საშუალებით

პარკის დამზადების გეგმა შესრულებულია

წულუკიძის რაიონმა მეორე გამოკვების აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა შეასრულა 140 პროცენტით. დამზადებულია 18.889 კილოგრამი პარკი, ნაცვლად ე.გ.მით გათვალისწინებული 13.500 კილოგრამისა. პარკის საშუალო გამოსავლიანობა ერთ კილოფუნტზე უდრის 41,9 კილოგრამს ნაცვლად 30-ისა. პარკის დამზადება გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) წულუკიძის რაიკომის მდივანი დავითაია
რაიაღმასკომის თავმჯდომარე რუხაძე

წღიური გეგმა შესრულებულია 103 პროცენტით

(ტელეგრაფით „კომუნისტის“ რედაქციას)

ბაბაშის რაიონმა აბრეშუმის ჭიის მეორე გამოკვებიდან გეგმით გათვალისწინებული 18 ტონის ნაცვლად დაამზადა 28 ტონა პარკი.

აბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმა შესრულებულია 103 პროცენტით.

პარკის დამზადება გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) ბაბაშის რაიკომის მდივანი კოკოთხონჯია
რაიაღმასკომის თავმჯდომარე ბოკერია

გეგმა 153 პროცენტით შეასრულეს

თელავი, 13 აგვისტო (საქ.ფესი). თელავის რაიონმა 13 აგვისტოსათვის მეორე გამოკვებიდან მიღებული აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა 153 პროცენტით შეასრულა. დამზადებულია 4.600 კილოგრამი. საშუალო გამოსავალი თვითეული კილოფიდან, ოცდაათის ნაცვლად, 50 კილოგრამს უდრის. გეგმის შესრულებაში თავი ისახელეს ქისტაურელმა სტახანოველმა მეაბრეშუმეებმა ივანაზაშვილმა, კვიცაშვილმა და სხვებმა, რომლებმაც გეგმა 180 პროცენტით შეასრულეს.

აბრეშუმის პარკის დამზადება გრძელდება.

გეგმა შესრულებულია 140 პროცენტით

ამბროლაური, 13 აგვისტო (ტელეგრაფით). ამბროლაურის რაიონში აბრეშუმის მეორე გამოკვების პარკი დამზადებულია 4.200 კილოგრამი. გეგმა შესრულებულია 140 პროცენტით.

„რაიაბრეშუმის“ გამგე ბოჭორიშვილი

უკანასკნელი ცნობები

ფაშისტური პრესის ანტისოლონური კამპანია

ბერლინი, 14 აგვისტო (საქფესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ ჰიტლერმა გუშინ ხელახლად მიიღო რიბენტროპი და ჩიანო. ამით დამთავრდა გერმანია-იტალიის მოლაპარაკება, რომელიც სამ დღეს გაგრძელდა. ამავე დღეს იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი ჩიანო თვითმფრინავით გაემგზავრა რომს.

„ფელკიშერ ბეობახტერი“ წერს, რომ მოლაპარაკებაში მთავარი ადგილი ეჭირა დანციგის საკითხს და რომ ამ საკითხზე მიღწეულია „სრული თანხმობა“.

დამახასიათებელია იტალიური ოფიციოზური ყოველკვირეული ორგანოს — „რელაციონი ინტერნაციონალის“ აზრი, რომელიც მოჰყავს გაზეთ „ნაციონალ-ცაიტუნგს“. ინგლისმა და საფრანგეთმა უხდა შეიგნონ,—სწერს იტალიური ოფიციოზი მოწინავე წერილში, რომ „დანციგი მალე დაუბრუნდება გერმანიას“. ეხება რა პოლონეთს, იტალიური გაზეთი აცხადებს, რომ, თუ პოლონეთი გერმანიას შეუთანხმდება, გერმანია პოლონეთს საზღვრების გარანტიას მისცემს. ამას მოსდევს ჩვეულებრივი მუქარა და „გაფრთხილება“ პოლონეთის მიმართ, რომ იგი განადგურებული იქნება, რადგანაც „იტალიის ზარბაზნები ისევე ამუშავდება, როგორც გერმანიისა“.

საომარი მზადება სლოვაკიაში პოლონეთის საზღვართან

გაზეთ „ტაიმსის“ ცნობით, ჩრდილოეთ სლოვაკიაში, პოლონეთის მოსაზღვრე რაიონებში დიდი საომარი მზადება მიმდინარეობს. ამაგრებენ ხიდებს. სანაპირო რაიონები სავსეა ჯარით. ქალაქი ჟილინა, რომელიც ჩრდილოეთ სლოვაკიაში მდებარეობს, უდიდესი მნიშვნელობის გზაჯვარედინებზე, საუცხოო ადგილს წარმოადგენს ჯარის კონცენტრაციისათვის ომის შემთხვევაში.

ყველას, ვინც ქალაქში ჩადის, პასპორტებს უსინჯავენ, მასთან ამ მოედანებას ასრულებენ არა სლოვაკელი პოლიციელები, არამედ გესტაპოს აგენტები.

გაზეთი იუწყება, რომ სლოვაკიის მთავრობამ განკარგულება გასცა, რათა პოლონეთის საზღვართან მდებარე რაიონებიდან ევაკუირებულ იქნას ყველა ტურისტი და ავადმყოფი.

ჟილინის ხელისუფლებამ გამოაცხადა, რომ უახლოეს დღეებში ისინი აკრძალავენ მოძრაობას მთელ რიგ გზებზე.

პარტიული ცხოვრება

პარტორგანიზაცია ნავთისათვის ბრძოლაში

(სუფსა, „კომუნისტის“ საკორ. კორესპონდენტისაგან)

პარტიულ ორგანიზაციებს მუდამ უნდა ახსოვდეთ და არასოდეს არ ივიწყებდნენ ამხანაგ **სტალინის** მითითებას იმის შესახებ, რომ „აუცილებელია შევითვისოთ სამეურნეო ორგანოებისადმი ბოლშევიკური ხელმძღვანელობის მეთოდი, რაც იმაში მდგომარეობს, რომ სისტემატურად დავეხმაროთ ამ ორგანოებს, სისტემატურად განვამტკიცოთ ისინი და ვუხელმძღვანელოთ მეურნეობას არა ამ ორგანოების გვერდის ავლით, არამედ მათი საშუალებით“.

ამ თვალსაზრისით გვინდა განვიხილოთ სუფსა-ომფარეთის ნავთის საძიებელი უბნის პარტორგანიზაციის (ბიუროს მდივანი ამხ. გრ. ჩხეტიანი) მუშაობა.

პარტორგანიზაციამ ამ მიმართულებით ცუდად როდი დაიწყო მუშაობა. ბიურომ სერიოზული ყურადღება მიაქცია კომუნისტების საწარმოო ობიექტებზე მიმაგრებაგანაწილების საკითხს. და მართლაც, 45 კომუნისტიდან 21 კაცი უშუალოდ ჭაბურღილებზე მუშაობს. არ არის ჭაბურღილი, სადაც კომუნისტები არ მუშაობდნენ. აქ მუშაობაში აიმაღლა კვალიფიკაცია ბევრმა კომუნისტმა. № 6 ჭაბურღილის კომუნისტი მბურლავი ამხ. ს. ჯოჯუა ახლა ჭაბურღილის საუკეთესო ოსტატია. იგივე ითქმის კომუნისტ ამხ. ლ. ტუღუშის შესახებაც.

მაგრამ ეს ყველაფერს როდი ნიშნავს. კომუნისტები ჭაბურღილებზე ჯერ კიდევ ვერ გვიჩვენებენ მუშაობის შესახიშარ ნიმუშებს, ჯერ კიდევ არა სჩანს ყველას ავახგარდული როლი. ისინი ზშირად „ობიექტურ“ მიზეზებზე მიუთითებენ, მაგრამ ეს ხომ არ შეშვების კომუნისტს. კომუნისტები ნავთისათვის მებრძოლთა ავანგარდში უნდა იყვნენ.

№ 5 ჭაბურღილზე ყველაფერი რიგზე არ იყო. ბურღვა სამარცხვინოდ ჩამორჩებოდა პარტორგანიზაციაც 29 აპრილს კრებაზე მოისმინა ჭაბურღილის უფროსის ამხ. ს. კურგაევის მოხსენება. კრებამ არცთუ ცუდი დადგენილება მიიღო, კარგი ღონისძიებები დასახა მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

არც № 8 ჭაბურღილი მუშაობდა დამაკმაყოფილებლად. ბურღვის გიოლოგიურ წესებს არ იცავდნენ. პარტორგანიზაციამ ეს საკითხიც გახადა მსჯელობის საგნად. 28 ივლისს მოისმინეს № 8 ჭაბურღილის უფროსის ამხ. ს. ელდაროვის მოხსენება. აქაც სათანადო ღონისძიებები დასახეს და ამით დაკმაყოფილდნენ.

ერთერთი ძირითადი ნაკლი პარტორგანიზაციის ბიუროს მუშაობაში ის არის, რომ არ ახდენს დადგინილებათა შესრულების სისტემატურ შემოწმებას. ამის გარეშე დადგინილება, ძალიან კარგი და შესანიშნავიც კი, ჰკარგავს აზრს.

ტრანსპორტი გეოლოგიური ძიების მეტად „ვიწრო ადგილს“ წარმოადგენს. პარტიულმა კრებამ 9 აგვისტოს გარაჟის გამგის ამხ. ჰ. ბორზენკოს მოხსენება მოისმინა. არ გვინდა დავიჯეროთ, რომ აქ ყველა კრება ასე ტარდება, მაგრამ აღნიშნული კი იმის ილუსტრაცია იყო, თუ როგორ არ უნდა ტარდებოდეს პარტიული კრება. საკითხის ირგვლივ ოთხი საათი იმსჯელეს. ხოლო გარაჟის მდგომარეობის შესასწავლად და ღონისძიების შესამუშავებლად ქვლავ ახალი კომისია გა მოჰყვეს (!?).

პარტორგანიზაციის ბიურო მეტი პასუხისმგებლობით და სერიოზულობით უნდა მოეპყრას პარტიული კრების მომზადების საკითხს.

პარტორგანიზაცია უფრო ახლოს უნდა მივიდეს წარმოების საკითხებთან, ჩასწვდეს საწარმოო პროცესის ყველა დეტალს, უზრუნველჰყოს ნავთის საექსპლოატაციო და საძიებო ბურღვის დავალებათა შესრულება.

ეჭვი არ არის, რომ სუფსელ კომუნისტებს შეუძლიათ ნავთისათვის ბრძოლის შესანიშნავი მაგალითები გვიჩვენონ. ამისათვის მხოლოდ საჭიროა მათ ბოლშევიკური შეუპოვრობით, თავდადებით და შრომისმოყვარეობით იმუშაონ.

ჯ. ჭიოკაძე

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 4 აგვისტოს დადგენილებით საქ. კ. პ. (ბ) რიგებიდან გარიცხულნი არიან:

1. აგაბეკ კიაზ ოღლი **სოფიევი** — საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1930 წლიდან, პარტბილეთი № 2847367 — თავისი წარსულის დამალვისათვის.

2. გურგენ ამბარცუმის-ძე **სიმონიანი** — საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1931 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 1668981 — ხალხის მტრებთან კავშირისა და საქონლის ფასების დარღვევისათვის.

3. ზაქარია სოლომონის-ძე **არაქელაშვილი** — საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1938 წლიდან, პარტბილეთი № 2850049 — როგორც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული.

4. ივანე გოჩას-ძე **ხულორდავა** — საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1919 წლიდან, პარტბილეთი № 1526723 — საზიზღარი პროვოკაციული ლაყბობისათვის.

5. გოძია დავითის-ძე **წულაია** — საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1919 წლიდან, პარტბილეთი № 1526737 — სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების უხეში დარღვევისათვის.

6. დურსუნ ახმედის-ძე **ტაკიძე** — საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1932 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 1260667 — როგორც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული.

7. იუსტინე იორამის-ძე **ხვედელიძე** — საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1937 წლიდან, პარტბილეთი № 2849340 — კოოპერატიული სახსრების გაფლანგვისათვის.



თბილისის აეროპორტის ახალგაზრდა ქილოტები კვალიფიკაციის ამაღლებისათვის მეცადინეობისას. ბორტმექანიკოსი ამხ. სოროკა მათ აძლევს მორიგ დავალებას. საქფესის ფოტოკორონიკა.

მზადება საბჭოების აღგილობრივი ორგანოების არჩევნებისათვის

სტალინის რაიონის ამბავი

თბილისის სტალინის სახელობის რაისაბჭო ორგანიზაციულად ემზადება მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღგილობრივი ორგანოების არჩევნებისათვის. საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის სახელობის რაიკომის ბიუროს თავის 12 აგვისტოს სხდომაზე წარმოება-დაწესებულებებსა და შეუკავშირებელ მოსახლეობაში არჩევნებისათვის მზადებისა და არჩევნების დებულების შესწავლისათვის ყოფილ საარჩევნო უბნების მიხედვით გამოჰყო აგიტპუნქტები და დაამტკიცა 150 აგიტატორი.

რაისაბჭოში შემავალ წარმოება-დაწესებულებებში უკვე ჩატარდა საუბრები არჩევნების დებულების შესახებ.

კიროვის რაიონში

არჩევნების დებულების გამოქვეყნების დღიდანვე დაიწყო გაცხოველებული მზადება. რაისაბჭოს სექციების პლენუმებზე დეპუტატებმა წეისწავლეს არჩევნების დებულება. ამის შემდეგ გაიხალეს მუშაობა აგიტპუნქტებში. დაიწყეს მუშაობა აგიტატორებმა. მოსახლეობა დიდი ინტერესით სწავლობს არჩევნების დებულებას.

კიროვის რაისაბჭო, ქვერაიონების სადეპუტატო ჯგუფები და დეპუტატები ემზადებიან ანგარიშგებისათვის. პირველი ქვერაიონის სადეპუტატო ჯგუფის თავმჯდომარემ ამხ. გაგნიძემ დეპუტატთა ჯგუფის პლენუმს უკვე ჩაიბარა ანგარიში სადეპუტატო ჯგუფის ბიუროს მუშაობის შესახებ.

პირველი ქვერაიონის სადეპუტატო ჯგუფს ბევრი სასარგებლო საქმე გაუკეთებია; მოიუწვია მოსახლეთა მრავალი ექსკურსია მნიშვნელოვანი ისტორიული ადგილების დასათვალიერებლად, კოლექტიური დასწრება კინოში, თეატრში, კვალიფიკაციური მოხსენებები მთავრობის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებზე, საერთაშორისო მდგომარეობაზე, ანტირელიგიურ საკითხებზე და პენსიონერებსა და პენსიონერებს შორის საგიტაციო მუშაობის საუკეთესოდ წარმართვის მიზნით 15 აგვისტოს რაისაბჭოს მიერ მოწვეული იქნება აგიტატორების, სადეპუტატო ჯგუფების აქტივის ყოფილ საუბნო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებისა და წევრების თათბირი, ხოლო 17 აგვისტოს ქვეყანარიონო სადეპუტატო ჯგუფების პლენუმი.

შედგენილია საარჩევნო უბნებისა და ოლქების საორიენტაციო გეგმა.

აღსანიშნავია დეპუტატების ერთგული მუშაობა მსხვილ საწარმოებში არჩევნების დებულების შესწავლისა და საარჩევნო კომისიებისათვის საჭირო შენობების გამონახვის საქმეში.

26 კომისრის რაიონში

26 კომისრის სახელობის რაისაბჭო უკვე შეუდგა მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების არჩევნებისათვის მზადებას. ამ დღეებში ჩატარდა რაისაბჭოსთან არსებული სექციების პლენუმები, რომლებზედაც განხილულ იქნა დებულება საბჭოების არჩევნების შესახებ. 8 აგვისტოს ეს საკითხი განიხილა სადეპუტატო სექციებისა და აქტივის რაიონულმა თათბირმა.

ამჟამად რაიონში შექმნილია 35-მდე აგიტპუნქტი, გამოყოფილია აგიტატორები და მესაუბრეები, რომლებმაც უკვე დაიწყეს მოსახლეობაში საუბრების ჩატარება. აგიტპუნქტები შექმნილია აგრეთვე საწარმო-დაწესებულებებში, საუბრების ჩასატარებლად კი შერჩეულია მომზადებული ამხანაგები.

აგიტატორები და მესაუბრეები უდიდესი ინტერესით მუშაობენ. ამ მხრივ ენერგიული მუშაობით განსხვავდება ქალაქის ერთ-ერთი აგიტატორი ამხ. ნ. ბაბალიანი, რომელიც ხშირად ხვდება ხელოსნებთან, ბავშვთა კომუნისტურ აღზრდაზე და სხვ.

სადეპუტატო ჯგუფი დიდ დახმარებას უწევდა ხელმაყოფლობით ორგანიზაციებს, აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქუჩების კეთილმოწყობის საქმეში, აქტიური მონაწილეობა მიიღო აგრეთვე მესამე ხუთწლედის მეორე წლის სესხის გავრცელების საქმეში და სხვ. დეპუტატები აქტიურად ეხმაურებოდნენ პარტიის ც. კ-ის და მთავრობის ყველა გადაწყვეტილებას.

მაგრამ ყველა დეპუტატი ერთნაირად როდი მუშაობდა. ამ. გაგნიძის წერილობით მოხსენებაში ვკითხულობთ: „ზოგიერთი დეპუტატი არადამაკმაყოფილებლად მუშაობს, ასეთები არიან დეპუტატები: გ. მისიკოვი, გ. სუთიძე, არ. აივაზოვი, ს. პეტროსიანი, ბ. გოგუაძე, ან. დიუნინი, ნ. სვანიძე, ხ. ჯიშკარიანი, ო. ვადაჭკორია, მ. სტეპანოვა, პ. გუკასოვი, კოსტანაშვილი და გობეჯიშვილი“.

კიროვის პირველი ქვერაიონის სადეპუტატო ჯგუფის პლენუმმა დასახა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი საბჭოების ადგილობრივი ორგანოების არჩევნებისათვის მზადების საკითხებზე. უკვე დაიწყო ამომრჩეველთა სიების დაზუსტება.

შეუდგნენ მზადებას

(ზესტაფონი, საქ. კორესპონდენტისაგან)

საქ. კ. პ. (ბ) ზესტაფონის რაიკომის ბიურომ და რაიაღმასკომის პრეზიდიუმმა უკვე დასახეს ღონისძიებანი მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ადგილობრივი ორგანოების არჩევნებისათვის მზადების საკითხებზე. პარტიული ორგანიზაციების კრებებზე ისმენენ მოხსენებებს არჩევნების დებულების შესახებ. გამოყოფილია აგიტატორები და პროპაგანდისტები მოსახლეობაში საგიტაციო-მასობრივი მუშაობის გასაწევლად.

16 აგვისტოს მოწვეულია პარტორგანიზაციების ბიუროების მდივნების, სოფლსაბჭოების თავმჯდომარეების და აგიტატორების რაიონული თათბირი არჩევნებისათვის მზადების საკითხებზე. უკვე დაიწყო ამომრჩეველთა სიების დაზუსტება.

ვ. გოგიაშვილი

ზ. მ. პომერანცევი

ჟუკოვსკის სახ. მგზავ. სამხედრო-საჰაერო აკადემიის უფროსი, დივიზიის მეთაური

ავიაციის ზრდა და განვითარება

ორი უკანასკნელი წელი დამახასიათებელია მსოფლიოს მოწინავე სახელმწიფოების ავიაციისათვის არა მარტო სწრაფმავალი მატერიალური ნაწილით შეიარაღების მხრივ, არამედ ავიაციის საბრძოლო გამოყენების საკითხის ძირეული გადასინჯვის თვალსაზრისითაც. ამ მხრივ განსაკუთრებული როლი ითამაშა ესპანეთის სამოქალაქო ომის საბრძოლო გამოცდილებამ და იაპონია-ჩინეთის ომმა, რომელიც უკვე ორ წელზე მეტია გრძელდება.

პირველ იმპერიალისტურ ომში ავიაცია უმთავრესად მონაწილეობდა როგორც დაზვერვის, სათვალთვალო და კავშირის დამპმარე საშუალება. მაშინ ჯერ კიდევ მცირერიცხოვანი და არასრულყოფილი ავიაციის დამოუკიდებელ საბრძოლო მოქმედებათა ცდებს რამდენადმე მნიშვნელოვანი შედეგი არ მოჰყოლია.

შემდეგ მაროკოს 1925-1926 წლების და იტალია-აბისინიის 1935-1936 წლების კოლონიურმა ომებმაც მცირე რამ შესძინეს სამხედრო-საჰაერო ძალთა საბრძოლო გამოყენების გამოცდილებას. ამ ომებში ერთი მხარე—აგრესორთა არმია—შედარებით კარგად იყო აღჭურვილი ბრძოლის თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით, მოწინააღმდეგეებს კი თავიანთ არსენალში არ ჰქონიათ არაფერი, გარდა მზადყოფნისა შეეწირათ სიცოცხლე თავიანთი ნაციონალური და პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის. ამ პირობებში ავიაციის მოქმედება ცალმხრივი იყო.

აღნიშნულ მცირე ომებში, აგრეთვე მთელ რიგ კოლონიურ ქვეყნებში (სირია, ბრიტანეთის ინდოეთი და სხვ.) აჯანყებათა ჩახშობის დროს ავიაციის ცალმხრივი გამოყენების წარმატებამ მდიდარი საზრდო მისცა ფაშისტურ-ბურჟუაზიულ „თეორიებს“ ავიაციის როლის შესახებ მომავალ ომებში. მისდევდნენ რა ცნობილი იტალიელი თეორეტიკოსის დუეს კვალს და სათანადოდ არ აფასებდნენ რა საჰაერო თავდაცვის საშუალებათა პარალელურ ზრდას, ამ „თეორიების“ ავტორები მიდიოდნენ იმ დასკვნამდე, რომ ავიაციას შეუძლია დაიწყოს და უმოკლეს ვადაში დაამთავროს ომი მოწინააღმდეგის სასიცოცხლო და პოლიტიკურ ცენტრებზე ზემოქმედების გზით. ეს ფაშისტურ-ბურჟუაზიული „თეორეტიკოსები“ სთვლიან, რომ ჰაერში ბატონობა მომავალი ომების წარმატების ერთადერთი საფუძველია, ხოლო სახმელეთო ჯარებთან ურთიერთმოქმედება ბრძოლის ველზე ცეცხლითა და დაზვერვით. მეორე — დამოუკიდებელი მოქმედება მოწინააღმდეგის ზურგში, რაც ბრძოლის საერთო გეგმასთან არის დაკავშირებული. და მესამე—დამოუკიდებელი მოქმედება მოწინააღმდეგის სამრეწველო და პოლიტიკური ცენტრების მიმართ, რაც დაკავშირებული არ არის ბრძოლის მიმდინარეობასთან და მიზნად ამავე დროს წარმოებულ ოპერაციებთან, მაგრამ რაც სწარმოებს ომის საერთო გეგმის მიხედვით.

მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ყველა ქვეყანაში მიმდინარეობს სამხედრო-საჰაერო ფლოტების ძლიერების განუწყვეტელი განმტკიცება, ავიაციის რაოდენობრივი ზრდა, თვითმფრინავებისა და მოტორების მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესება. იზრდება და ვითარდება სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტების, საავიაციო სასწავლებლების ქსელი. ავიაციის კონსტრუქტორებმა შესაძლებლობა მიიღეს თანამედროვე თვითმფრინავს ჩააჭურვონ მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა მიღწევა.

უკანასკნელი წლების განმავლობაში თანამედროვე საავიაციო ძრავის სიმძლავრე აყვანილ იქნა 2000 და მეტ ცხენის ძალამდე. თუ 1918 წლის დამლევისათვის საუკეთესო ავიაძრავებში მუხლა ლილვის ბრუნთა მაქსიმალური რიცხვი აღწევდა 1200-ს წუთში, თანამედროვე ძრავებში ბრუნთა რიცხვი აყვანილია 3000-მდე და უფრო მეტამდე.

ჩვენი ქვეყნის მთელი უზარმაზარი საჰაერო ფლოტი ჩვენს ქარხნებში ჩვენი ინჟინრებისა და სტახანოველი მუშების ხელით შექმნილი მოტორებით ფრინავს. ჩვენი სახმელეთო ავიაციის მთელი ნაწილები და შენაერთები თავისუფლად გაიელიან ხოლმე ასეულ კილომეტრობით მანძილს ზღვებზე და სრულიად არ ეშინიათ იძულებითი დაშვებისა წყალზე, რაც სახმელეთო თვითმფრინავს დაღუპვას უქადის.

მთელი რიგი წლების განმავლობაში ჩვენი სამშობლოს სტალინურ შავარდნებს არაერთხელ უფრინიათ სახმელეთო თვითმფრინავებით ჩრდილოეთის პოლუსზე, ზღვებსა და ოკეანეებზე, გადაუფრენიათ ტყეების უდიდეს მასივებზე შორეულ აღმოსავლეთში, საზღვაო თვითმფრინავებით უფრინიათ შავი ზღვიდან თეთრ ზღვამდე. და ერთხელაც არ შეწყვეტილა გაფრენა მატერიალური ნაწილის უწესივრობის, მოტორის გაჩერების მიზეზით. წელიწადში ორჯერ მოსკოვში და ჩვენი ქვეყნის ათეულობით სხვა ქალაქებში ტარდება მძლავრი საჰაერო პარადები. მათში მრავალი ასეული თვითმფრინავი მონაწილეობს. ჩვენს მფრინავებს ისინი მიჰყავთ მტკიცე ხელით, არც კი ფიქრობენ იმაზე, რომ უღალატებს მოტორი, მატერიალური ნაწილი, ხელსაწყოები.

თვითმფრინავების ფრენის სიმაღლე, სიშორე და სისწრაფე — აი ის ძირითადი, რაც ავიაციის რაოდენობასთან ერთად განსაზღვრავს საჰაერო ძალების ძლიერებას, მათს საბრძოლო სიმძლავრეს. ამ სამ პრობლემაზე მუშაობს ახლა მთელი საავიაციო სამყარო. ჩვენ სიამაყით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენისთანა გამარჯვებანი ამ უბნებზე დღემდე არავის არა აქვს.

სიმაღლე, რომელზე „ასვლაც“ შეუძლია თვითმფრინავს, სავსებით დამოკიდებულია ტექნიკის მიღწევებზე, თვითმფრინავის „ჭერზე“, იმაზე, თუ რა სიმაღლის აღება შეუძლია ძრავს. სიმაღლისათვის იბრძოდნენ პირველ რიგში ჩვენი კონსტრუქტორები, აგრეთვე თვითმფრინავებისა და მოტორების ქარხნები. და ამ ბრძოლაში მათ გაამარჯვეს, ბევრად გადააჭარბეს ევროპის მთელი რიგი ქვეყნების წარმატებებს. საავიაციო მოტორმშენებლობის საბჭოთა კულტურის ნათელ მაჩვენებელს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ სიმაღლეზე ფრენის მსოფლიო რეკორდების უმრავლესობა ჩვენი ავიაციის რეკორდებს წარმოადგენს.

წარსულ წლებში **სიშორეს** აღწევდნენ მხოლოდ იმით, რომ თვითმფრინავს საწვავი მასალით გადატვირთავდნენ ხოლმე. ამჟამად შორს ფრენისათვის ბრძოლა სწარმოებს უმთავრესად სპეციალურ აეროდინამიკურ ძიებათა ხაზით, გრძელფრთებიანი (ვიწრო გრძელი ფრთა) თვითმფრინავის შექმნის ხაზით.

სიშორისათვის ბრძოლა ყველა ქვეყანაში სწარმოებს. ჩვენშიც და საზღვარგარეთაც იქმნება მოქმედებათა დიდი რადიუსის სპეციალური თვითმფრინავები. მაგრამ ფრენის ხანგრძლივობისა და სიშორის რეკორდები, რომლებიც დამყარებულია საბჭოთა კავშირის მბრძოლი მფრინავების მიერ, დღემდე არ არის დაფარული. ამას გვიჩვენებს ამხანაგების ჩკალოვისა და გრომოვის ეკიპაჟების უველასათვის ცნობილი სარეკორდო გადაფრენები.

რეკორდებისათვის ბრძოლის სისტემაში საბჭოთა კავშირსა და ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს შორის უდიდესი განსხვავება არსებობს. მათთვის რეკორდი თვითმიზანია. ისინი რეკორდის მისაღწევად აშენებენ სპეციალურ მანქანებს, სრულებით არ ფიქრობენ იმაზე, თუ რა პრაქტიკული მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ამ მანქანას. ისინი აშენებენ უდიდესი სიმძლავრის მოტორს, რომელსაც შეუძლია იცოცხლოს და იმუშაოს მხოლოდ რამდენიმე საათს, რაც რეკორდის დამყარებისათვის არის საჭირო.

ჩვენში სარეკორდო გაფრენები სწარმოებს სერიული მანქანებით, რომლებითაც დაფრინავენ მრავალ ასეული ჩვენი მფრინავები. ძალიან ფხიზელი თვალი არ არის საჭირო იმისათვის, რომ შევამჩნიოთ უდიდესი მსგავსება, ტყუპების მსგავსება თვითმფრინავებს „როდინასა“, „მოსკვასა“ და ასეულობით თვითმფრინავებს შორის, რომლებიც ახარებდნენ მოსკოველების გულს ამა წლის 1 მაისის დღეს.

მრავალ ასეულ ჩვენს მანქანებთან სარეკორდო მანქანების სწორედ ამ მსგავსებაშია საბჭოთა ავიაციის ძალის, უძლეველობის არსი.

სისწრაფე. ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში თითქმის არა სჩანს არცერთი ის თვითმფრინავი, რომლებიც ჯერ კიდევ 1935-36 წლებში შეადგენდნენ ჩვენი საჰაერო ფლოტის ძირითად მასას. გაჰქრნენ და პარადების დროს უკვე აღარ დაფრინავენ ნელმავალი მუქი ფერის დიდი მანქანები დიდი თვლებით, რომლების შემჩნევა მიწიდანაც შეიძლებოდა. მათ ნაცვლად დაფრინავენ ასობით ახალი ლია ფერის ლამაზი მანქანები აკეცილი ბორბლებით.

ჩვენი ქვეყნის სამხედრო-საჰაერო ძალები ახლა მუშაობენ **სწრაფმავალი** მატერიალური ნაწილით. თვით მფრინავის სისწრაფის გადიდება მიღწეულია არა მარტო მოტორების სიმძლავრის გადიდებით, არამედ პირველ რიგში აეროდინამიკური გაუმჯობესებებით. მანქანებზე გაჩნდა ფრენის დროს ასაკეცი მასი (თვლები). ხის ხრახნების ნაცვლად იხმარება ლითონის ხრახნები „ცვლადი ნაბიჯით“. მათ შეუძლიათ მოგვცენ სასარგებლო მოქმედების საჭირო კოეფიციენტი როგორც ფრენის დროს, ისე დიდი სისწრაფისა და სიმაღლის დროს.

სამხედრო-საჰაერო ძალები შესდგება სამი ძირითადი სახისაგან: მძიმე ყუმბარმტყორცნი ავიაცია, მსუბუქი ყუმბარმტყორცნი ანუ საიერიშო ავიაცია და გამანადგურებელი ავიაცია. საჰაერო ფლოტის ძლიერებას, მის დაკვრითსა და საცეცხლო შესაძლებლობებს განსაზღვრავს პირველ რიგში მისი მძიმე ყუმბარმტყორცნი ავიაციის ძლიერება და გამანადგურებელი ავიაციის რაოდენობა და ხარისხი. სწორედ ამიტომ ლენინ-სტალინის პარტიის XVIII ყრილობის დელეგატები მქუხარე ტაშით შეხვდნენ თავდაცვის სახალხო კომისრის, საბჭოთა კავშირის მარშალის კ. ე. ვოროშილოვის ცნობას იმის შესახებ, რომ უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე ჩვენში ერთიორად გაიზარდა ყუმბარმტყორცნი ავიაციის რაოდენობა და ორნახევარჯერ გაიზარდა გამანადგურებელი ავიაციის რაოდენობა. დიდ ხარისხობრივ გაუმჯობესებებთან ერთად ეს წარმოადგენს ჩვენი გაზრდილი ძლიერებისა და ძლევამოსილი ბრძოლისათვის მზადყოფნის პირდაპირ მაჩვენებელს.

ავიაციის დაკვრითი ძალის გადიდებაში არანაკლები მნიშვნელობა აქვს მძიმე ყუმბარმტყორცნი თვითმფრინავების **ტვირთამწეობას**. ჩვენს მიღწევებზე ამ მხრივ ამაზე მეტყველებს ის, რომ ჩვენმა პარტიის XVIII ყრილობაზე სთქვა: „თუ 1934 წელს მთელს ჩვენს საჰაერო ფლოტს შეეძლო ერთ გაფრენაზე ჰაერში აეტანა 2.000 ტონა ავია-ყუმბარა, ამჟამად მას უკვე 208 %-ით მეტი აქვს; სხვანაირად რომ ვთქვათ, ყუმბარების ერთდროული ბათქი ერთი-სამად გაიზარდა. გამანადგურებელი ლითონის ეს მასა, რომელსაც უდიდეს მანძილზე გადანაცვლების უნარი აქვს, შეიძლება არც თუ ცუდი დამამშვიდებელი საბჭოთა პერანგი გამოდგეს ბოდვითი იდეებით შეპყრობილი აგრესორებისათვის, თუ ისინი იმდენად დაჰკარგავენ გონებას, რომ საბჭოების მიწაწყალს წაეპოტინებიან“.

ჩვენმა სამეცნიერო-საკვლევო ცენტრებმა, საავიაციო სასწავლებლებმა თავიანთი ფართო საქმიანიერო-კვლევითი მუშაობით ჩვენი საავიაციო მეცნიერება აიყვანეს არნახულ სიმაღლეზე, ჩვენი საჰაერო ფლოტისათვის უზრუნველჰყვეს მოწინავე ადგილი მსოფლიოში.

ჩვენი საბჭოთა კონსტრუქტორები, ინჟინრები და სტახანოველი მუშები მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალებს აძლევენ საუცხოო, ყოველმხრივ მაღალხარისხოვან, უაღრესად საიმედო თვითმფრინავებს.

ხოლო ჩვენი მფრინავების, მათი ოსტატობის, გამბედაობის, სიმტკიცის, სამშობლოსადმი და აღმზრდელი ლენინ-სტალინის პარტიის ერთგულების შესახებ იცის მთელმა მსოფლიომ.

თავისი სოციალისტური სამშობლოსათვის, კომუნიზმისათვის მომავალ ბრძოლებში სტალინური ავიაციის ამაყი შავარდნები გაანადგურებენ მტერს მისსავე ტერიტორიაზე, მისსავე წყლებში, ყველანაირი სიჩქარისა და სიმაღლის დროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ნავთის მრეწველობის ალმაცვლობისათვის

მირზაანის ნავთის გადამმუშავებელი ქარხნის სტახანოველი ამხ. ლ. ბიდაშელი.
ფოტო ე. სილდირიანცისა.

მირზაანის ნავთის სარეწაოს ერთერთი საექსპლოატაციო ჭაბურღილი.
ფოტო ე. სილდირიანცისა.

საჭიროა აგრეთვე გაძლიერდეს მუშაობა ნავთის ახალი საბადოების გამოსაკვლევად და ასათვისებლად საქართველოში, უკრაინაში და ყველა ოლქში, სადაც მოიპოვება მთელი რიგი პუნქტები ნავთისა და გაზის ნიშნებით.

ლ. მ. კაგანოვიჩი

მნიშვნელოვანია არა მარტო გურლვის გეგმის შესრულებას, არამედ გურლვა ისე უნდა მოეწყოს, რომ ნავთის გამოსაკვლევი ფენების მდებარეობისა და სიმძლავრის გამოკვლევასთან ერთად მივიღოთ სამრეწველო ნავთი.

ლ. პ. ბერია

ახალი—საქართველოს ნავთის მრეწველობაში

მშვენიერი კადრები შეემატა საქართველოს ნავთის მრეწველობას. სათბობ მასალათა მრეწველობის სახკომის ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩის № 93 ბრძანების თანახმად ჩვენმა ნავთის ახალგაზრდა მრეწველობამ უეჭველად კარგი სპეციალისტები და მდიდარი პრაქტიკული გამოცდილებით შეიარაღებული მუშაკები მიიღო ბაქოსა და გროზნოს ნავთის სარეწაოებიდან. მათ ბლომად ეხვედრებით კახეთში, ნორიო-მარტყოფში, სუფსა-ომფარეთში. მათ თავისი ეს გამოცდილება სავსებით გულით მოუტანიათ აქ ჩვენი ნავთის ნორჩ სარეწაოებზე, უხვად ნერგავენ მას იქ, ნავთით ნოყიერ ნიადაგზე და უხვ მოსავალსაც ვვიწინასწარმეტყველებენ. თავის მდიდარ ცოდნას გულუხვად და სიხარულით უზიარებენ ადგილობრივ კადრებს, რათა ისინიც რაც შეიძლება მალე დაეუფლონ ნავთის ნიადაგის გაბურღვისა და ნავთის ამოღების ტექნიკას. ხალხთა დიადი ლენინურ-სტალინური მეგობრობით არის გაყვლთნილი ეს ახალი ნაკადი, რომელიც საქართველოს ნავთის მრეწველობაში შემოჰრილა, ქართველი და სომეხი, აზერბაიჯანელი და რუსი, უკრაინელი და ავარიელი ხელიხელ ჩაკიდებული, მტკიცე ძმური კავშირით შემჭიდროებული ებრძვის მირზაან-შირაქის, ნორიო-მარტყოფის, სუფსა — ომფარეთის ნავთიან ნიადაგს, რათა რაც შეიძლება მალე და მაქსიმალურად ამოჰქაჩოს მას საიუკუნეების განმავლობაში 1000 და 2000 მეტრის სიღრმეზე დაგროვილი ნავთი, რომელსაც ასე საჭიროებს ჩვენი მძლავრი, დიადი სოციალისტური ინდუსტრია.

ამ ამხანაგების დახმარებით „საქართველოს ნავთის საბადოები. რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ“ (ლ. მ. კაგანოვიჩი), უეჭველად გამოაცოცხლებენ და მიწის წიაღი სულ მალე მისცემს ქვეყანას იმაზე მეტს, რის მოცემასაც გეოლოგები ვარაუდობენ. ნავთის სტახანოველები აქაც სტახანოვურ სასწაულებს მოახდენენ.

ამის ნიშნები უკვე ახლავე ირკვევა. სამი თვე იქნება, რაც ეს ამხანაგები მოეკლიბენ ჩვენი ნავთის სარეწაო და საძიებო უბნებს და მათ ქიდეც დაატყვეს თავისი ხელი საქმეს. გაიზარდა ბურღვა იქ, სადაც ისინი დააყენეს, გაიზარდა ნავთის ამოღება იმ ჭაბურღილებზე, რომლებიც მათ მიანდეს.

აი თუნდაც ბაქოში ცნობილი ბურღვის ოსტატი, ახლა მირზაანის № 95 ჭაბურღილის უფროსი ამხ. ვალარშაკ ხუმარიანი ავიღოთ. ის პირდაპირ სული და გული გახდა მბურღავებისა მირზაანში. მისი ბრიგადა უკვარიოდ და უწუნოდ მუშაობს; მას ეკითხებიან, მასთან საკონსულტაციოდ მიდიან, ისიც სიხარულით უხსნის და უზიარებს ყველას თავის ცოდნა-გამოცდილებას.

მისმა ბრიგადამ დაწესებულ დროზე 11 დღით ადრე გაბურღა № 104 ჭაბურღილი და საექსპლოატაციოდ გადასცა. ახლა ეს ბრიგადა № 95 ჭაბურღილზე გადავიდა საშუშაოდ. გეგმით 81 დღეში უნდა გაბურღოს იგი, ბრიგადა კი პირობას იძლევა, რომ 56 დღეში დაამთავრებს ბურღვას.

ამ ჭაბურღილის ბურღვას ბრიგადა 10 ივლისს შეუდგა. სანამ კოშკისა და მექანიზმების მონტაჟი მიდიოდა, ჭაბურღილის უფროსი სულ თავს დასტრიალებდა თავის მომავალ საბურღავ ობიექტს. პირადად უწევდა კონტროლს მშენებლობას, შეჰქონდა შესწორებები და ჭაბურღილიც 7 დღით ადრე ჩაიბარა. აქ უსათუოდ დიდი დამსახურება მიუძღვის ნავთის კოშკების მშენებლობისა და მონტაჟის ხელმძღვანელს ამხ. მ. ოვჩინიკოვს (ისიც ბაქოელია) და მშენებელ-მონტაჟელთა ბრიგადას ამხ. ვ. ზაიცევის მეთაურობით.

ვიდრე მბურღავები მუშაობას შეუდგებოდნენ, ჭაბურღილის ხელმძღვანელმა მათ თავი მოუყარა ჭაბურღილთან. ჭაბურღილის გაშვების წინ გაიმართა ბრიგადის კონფერენცია, როგორც ამას ნავთის მუშაკები უწოდებენ. ეს სისტემაც ბაქოელების გადმონერგილია, მას მტკიცედ გაუდგამს ფესვები ჩვენს ნავთის მრეწველობაში და ფრიად სასარგებლო პრაქტიკულ როლს ასრულებს.

№ 95 ჭაბურღილის გაშვების წინ კონფერენცია ამხ. ხუმარიანმა გახსნა და პირველი სიტყვა გეოლოგ ამხ. ვაჩნაძეს მისცა. გეოლოგმა ნაბაზზე უჩვენა და აუხსნა ბრიგადას ჭაბურღილის გეოლოგიური კვეთი. შემდეგ ბურღვის კანტორის ტექნიკური განყოფილების უფროსმა ამხ. ხოხლოვმა აუხსნა მუშებს, თუ როგორ ბურღონ, შემდეგ ისიც გაურკვიეს, თუ რას მიიღებენ ხელფასს და სხვ. იყო ლაპარაკი უშიშროების ტექნიკაზე. საქნავთის წითელწყაროს რაიონის საწარმოთა გაერთიანებული პარტბიუროს მდივანმა ამხ. ლომთაძემ გაამახვილა ყურადღება სოციალისტურ შეჯიბრებაზე. სიტყვებით გამოსულმა მუშებმა მოიგონეს წინა ჭაბურღილებზე შემჩნეული ნაკლი და მოუწოდეს ხელმძღვანელობას მიიღოს ზომები, რომ ისინი აღარ განმეორდეს; ბურღვასთან დაკავშირებულმა ყველა რგოლებმა აღუთქვეს მათ ყოველმხრივი ოხმარება; მბურღავმა მბურღავი გამოიწვია, ვახტმა ვახტი, სათავე დაედო სოცშეჯიბრებას. მთელმა ბრიგადამ მიიღო № 94 ჭაბურღილის გამოწვევა. პირობა დასდეს ჭაბურღილი ჩააბარონ 25 დღით ადრე და ბურღონ უკვარიოდ და უწუნოდ. კონფერენცია დამთავრდა. ჭაბურღილის უფროსმა კიდევ შეამოწმა სამონტაჟო სამუშაოების ჭედაყოფნა. პირველი ცვლა ვახტზე დადგა, ძრავი ამოქმედდა, ბურღვი დატრიალდა და გაჩაღდა მუშაობა.

უეჭველად კარგი წესი შემოუღიათ საქართველოს ნავთის სარეწაოებზე. იგი რაზმავს მასებს, ანთებს მათში საწარმოო ენტუზიაზმს დავალების მაღალხარისხოვნად და ჭარბი მაჩვენებლებით შესრულებისათვის.

ამხ. ხუმარიანის ბრიგადა უწუნოდ და უკვარიოდ მუშაობს, ასე იყო აქამდე და მით უმეტეს იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ასე იქნება მომავალშიც.

ამხ. ხუმარიანი ახალგაზრდა კადრებზედაც ზრუნავს. ის პირობას იძლევა, რომ № 95 ჭაბურღილის ბურღვის პერიოდში მომზადებს ერთი მბურღავიდან ბურღვის ოსტატს და ერთი მბურღავის თანაშემწიდან—მბურღავს.

ყველა ეს დაპირება ლიტონი სიტყვები არ არის, მას საქმე მოჰყვება თან.

დიდაც, რომ კარგი კადრები გამოუზავნა სათბობ მასალათა მრეწველობის სახკომმა საქართველოს ნავთის მრეწველობას. საჭიროა ყოველმხრივ დავეხმაროთ და ხელი შევუწყოთ მათ ფართოდ დანერგონ თავისი მდიდარი გამოცდილება ჩვენს ახალგაზრდა ნავთის მრეწველობაში, გამოზარდონ ახალი კადრები.

ან. ქელენჯერიძე

წლიურ გეგმას 5 ოქტომბრისათვის შევასრულებთ

ნავთის მრეწველობაში ბურღვას დიდი მნიშვნელობა აქვს. „ბურღვის გარეშე შეუძლებელია ჭაბურღილების რიცხვის ზრდა და, მაშასადამე, ამოღების ზრდაც“, გვასწავლის ჩვენი სახელოვანი სახკომი ლ. მ. კაგანოვიჩი. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბურღვას საქართველოს ნავთის ახალგაზრდა მრეწველობაში, რომელიც ახლა იდგამს ფეხს და გეოლოგიური კვლევის მონაცემებით დიდ პერსპექტივებს გვიშლის წინ. ამიტომაც ჩვენ, ბურღვის ოსტატებს, უდიდესი ამოცანა გვაკისრია—ებურღოთ რაც შეიძლება სწრაფად, მივცეთ ნავთის ამომღებთ რაც შეიძლება მეტი სააექსპლოატაციო ჭაბურღილები.

მბურღავებს ეს ამოცანა ესმით და მათი ძირითადი მასა სახელოვნად იბრძვის მიცემულ დავალებათა შესრულებისათვის.

მიმდინარე წლის გეგმით დავალებული გვაქვს 21.765 მეტრის გაბურღვა. აქედან 12.850 მეტრი საექსპლოატაციოა და 8.915 საძიებო. უნდა ჩავაბაროთ 11 საექსპლოატაციო და 4 საძიებო ჭაბურღილი.

ეს დავალება 7 აგვისტოსათვის შესრულებულია 64,6 პროცენტით, გაბურღილია სულ 14.019 მეტრი, აქედან 7.447,5 მეტრი საექსპლოატაციო და 6542 საძიებო. ჩაბარებულია 5 საექსპლოატაციო და 4 საძიებო ჭაბურღილი.

აღსანიშნავია, რომ ავარიებისა და წუნის წინააღმდეგ გაშლილია გადამწყვეტი ბრძოლა. ახლა ჩვენ ამას ვშვიათად ვხვდებით. აღიზარდნენ მბურღავთა მშვენიერი ადგილობრივი კადრები, რომლებიც მუშაობის საუკეთესო ნიმუშებს გვიჩვენებენ. სიმონ ჯამბერიძე, დურსუნ კაკალაძე, გიორგი ქუტატაძეები, დოლგანები და სხვ. ესენი საქართველოს ნავთის მრეწველობაში აღზრდილი ბურღვის ახალგაზრდა ოსტატებია, რომლებიც სტახანოვური მუშაობის და ბურღვის ტექნიკის დაუფლების საუკეთესო ნიმუშებს იძლევიან; ისინი ფართოდ იყენებენ ბაქოელი ამხანაგების მდიდარ პრაქტიკულ გამოცდილებას და ბურღავენ სწრაფად, უკვარიოდ, უწუნოდ.

ამით აიხსნება, რომ წელს ჩვენ არცერთი სერიოზული ავარია არ გვქონია, იყო მხოლოდ ოთხი, მაგრამ ისე უმნიშვნელო, რომ ყველა ისინი მუშაობის პროცესშივე იქნენ გამოსწორებული და მას ბურღვის ტემპები არ შეუფერხებია.

ახლა განზრახვა გვაქვს მოვაწყოთ მბურღავთა კურსები, რაც აგრეთვე ხელს შეუწყობს ამ სპეციალობის ქვალიფიციური კადრების გამოზრდას.

მაგრამ ეს სრულიადაც არ გვაძლევს გულდამშვიდების უფლებას. ჩვენს მბურღავთა კოლექტივს კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობანი მოეპოვება და მათ ჩვენს ნორჩ ნავთის მრეწველობას უნდა მისცენ იმის მაქსიმუმი, რის მიცემაც შეუძლიათ. ეს მით უფრო იოლი გახდება, თუ დაძლეული იქნება ზოგიერთი ხელშემშლელი გარემოება, რომელიც ახლა წინ გვეღობება და ხელს გვიშლის. უწინარეს ყოვლისა ეს ოქმის ჭაბურღილების წყლითა და თიხის ხსნარით ცუდ მომარაგებაზე. ამ გარემოებას ლ. მ. კაგანოვიჩმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია თავის ცნობილ ბრძანებაში № 93 „საქართველოს სსრ რესპუბლიკაში ნავთის მრეწველობის განვითარების შესახებ“, დაავალა რა „აზნეფტემონტაჟსტროის“ აეგო მირზაანის სარეწაოზე პირველი რიგის წყალსადენი ა. წ. პირველ აგვისტოსათვის და „აზნეფტეპროექტს“ — უზრუნველეყო ტექნიკური პროექტით თიხის ხსნარის ქარხანა იმავე სარეწაოზე ა. წ. 15 ივნისისათვის. სახკომის არცერთი ეს დავალება აქამდე შესრულებული არ არის და თუ რარიგად გვიშლის ეს ხელს, სჩანს იქიდან, რომ წყლისა და თიხის ხსნარის უქონლობის მიზეზით ჭების ბურღვაში ადგილი ჰქონდა 10 ათასამდე საათით მოცდენას. ეს ორი საკითხი არსებითი ხასიათისაა და მათი სასწრაფოდ დაწყვეტისათვის გადამჭრელი ზომები უნდა იქნას მიღებული.

ჩვენი მბურღავთა კოლექტივი ფართოდ გამოეხმაურა უკრაინის ნავთის მუშათა მოწოდებას და იკისრა ვალდებულება წლიური გეგმა შეასრულოს ვადამდე — 5 ოქტომბრისათვის. ამ დავალებას ჩვენ შევასრულებთ.

ფ. საპოჟნიკოვი
ბურღვის კანტორის დირექტორი.

ყველა შესაძლებლობაა ნავთის ამოღების გაღიდებისათვის

თვითეული ჭაბურღილისადმი სწორი მიდგომა სწყვეტს ნავთის ამოღების საკითხს. უნდა შეისწავლოს მისი ხასიათი, გამოიყენოს თეორიითა და პრაქტიკით გამართლებული ღონისძიებები და უეჭველ წარმატებას მიაღწევ.

მაგალითად: № 59 ჭაბურღილზე, რომელიც 2,4 ტონა ნავთს იძლეოდა, მასში ღრმა საქაჩის ჩაშვებით და მასზე 2 სარქველის ნაცვლად 3 სარქველის გაკეთებით შეძლებით ამოღების გადიდება 3 ტონამდე; № 46 ჭაბურღილზე 44-მილიმეტრიანი საქაჩი შევცვალეთ 56-მილიმეტრიანით, რითაც ნავთის ამოღება ხუთჯერ გაიზარდა (0,3 ტონის ნაცვლად 1,5 ტონა); № 74 ჭაბურღილზე საქაჩი ჩავუშვით 100 მეტრზე და გავუკეთეთ მას 3 სარქველი, ნავთის დებეტი 1 ტონით გაიზარდა, ახლა 3 ტონას იძლევა; № 55 ჭაბურღილი 8 საათში იძლეოდა 1 ტონა ნავთს, შევისწავლეთ ამის მიზეზი, გადავიყვანეთ 3-საათიან მუშაობაზე და ახლა იმდენსავე იძლევა; № 18 ჭაბურღილი 16 საათში 2 ტონა ნავთს იძლეოდა, ახლა 8 საათს მუშაობს და ამდენსავე იძლევა. ასეთი ღონისძიების გატარება მოგვიხდა აგრეთვე № 38 და 42 ჭაბურღილებზე, მათი მუშაობის ხანგრძლივობის შემცირებით არ შეცვლილა დებეტი. ეკონომიური ეფექტი კი შესამჩნევია, — დაზოგილ იქნა მუშა-ხელი და ენერგია. № 51 ჭაბურღილი იძლეოდა 0,9 ტონა ნავთს, საქაჩი ღრმად იყო ჩაშვებული, შევამცირეთ, 70 მეტრზე დავაყენეთ, დებეტი 1,5 ტონამდე გაიზარდა.

დაკვირვებამ მოგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ მირზაანში ყველა პირობა არსებობს იმისათვის, რომ ნავთის ამოღება აყვანილ იქნას გეგმით დაწესებულ დონემდე.

ამოღების გადიდებისათვის, ჩემი აზრით, საჭირო იქნება საგაზო ღუზებისა და 3-სარქველიანი საქაჩების შეცვლა, რათა შემცირებულ იქნას გაზი, რომელიც ხელს უშლის ნავთის წამოსვლას.

ა. დავიდიანი
ნავთის ამოღების ოსტატი.

ჭაბურღილი № 6

უკრაინელი ამხანაგების მომართვის საპასუხოდ ჩვენ ავიღეთ ვალდებულება ბურღვის ყოველდღიური გეგმის შესრულება 200 პროცენტზე დაბლა არ დავიყვანოთ. ამ ვალდებულების პირნათლად ვასრულებთ. ივლისში 255 პროცენტს მივაღწიეთ, გავზარდეთ საშუალო სადღეღამისო გაბურღა; გეგმით დაწესებული 10 მეტრის ნაცვლად ბევრჯერ გავდივართ 75 მეტრს. გავახანგრძლივეთ ერთი სატეხის წარმადობაც, გავიარეთ რა ნიადაგში 195 მეტრი. ბევრია ჩვენს ბრიგადაში ისეთი ბაბუები და ცალკე მბურღავები, რომლებიც თვიურ დავალებას სტახანოვურად ასრულებენ: მბურღავი ბრიგადირი ამხ. გ. სუხოვი დღიურ გეგმას 400 პროცენტით ასრულებს, მ. შიმჩენკო—350—400 პროც., ს. მირონოვი—250-350 პროც., მუსა ფამაევი — 180-250 პროც., გრ. არზობასოვი —250 პროცენტით.

ამას ჩვენ ვაღწევთ ძალთა სწორი განაწილებით, რაიონის გეოლოგიური კვეთის შესწავლით და სამუშაოს სწორად განაწილებით. თვითეული ცვლა, ვიდრე ის მუშაობას შეუდგებოდეს, უწინარეს ყოვლისა ზედმიწევნით ეცნობა მის წინაშე დასმულ ამოცანას, ერთხელ კიდევ სინჯავს გეოლოგიურ კვეთს, ამოწმებს ხელსაწყოს, მექანიზმებს და წინასწარ მომზადებულ სამუშაო ადგილზე იწყებს ბურღვას.

ჩვენი ბრიგადა მანამდე № 4 ჭაბურღილზე მუშაობდა. ეს ჭაბურღილი ვადამდე 2 თვით ადრე გავბურღეთ გეგმის 100,9 პროც. გადაჭარბებით. № 6 ჭაბურღილის გასაბურღად მოცემული გვაქვს 3 თვე; იგი 5 ნოემბრისთვის უნდა ჩავაბაროთ. რასაკვირველია, ჩვენ ამდენ დროს არ მოვანდომებთ მას. ამ თვის დამლევისათვის ჭაბურღილი ჩაბარებული იქნება და ჩვენს გეოლოგებს შესაძლებლობა ექნებათ დაასკვნან, როგორ გაიშალოს ნავთის ამოღება ამ უბანზე.

ს. ჯანგველიძე
ბრიგადა მირზაანის № 6 ჭაბურღილის უფროსი.

მესამე ხუთწლედში საქართველოს ნავთის მრეწველობის განვითარების პერსპექტივები

ი. პ. ქარასევი
საქნავთის ტრესტის მმართველის მოადგილე, მთავარი გეოლოგი.

ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების მესამე ხუთწლიანი გრანდიოზული გეგმით გათვალისწინებულია 1942 წელს 54 მილიონი ტონა ნავთისა და გაზის ამოღება. ეს შეადგენს 1937 წლის ფაქტიური ამოღების 177 პროცენტს.

ნავთის ამოღების უდიდესი საერთო აღმავლობის ფონზე განსაკუთრებით საპასუხისმგებლოა ამოცანა, რომელიც დასაბულია საქართველოს ნავთის მუშაკთა წინაშე. თუ 1938 წელს საქართველოს ნავთის მრეწველობის პროდუქცია შეადგენდა 14.235 ტონას, 1942 წლის დაწყებისათვის იგი უნდა ასულიყო 700.000 ტონამდე. ხუთწლედის წლების მიხედვით ნავთის ამოღების ზრდა დასახულია შემდეგნაირად: 1939 წელს — 40.000 ტონა, 1940—200.000 ტონა, 1941—400.000 ტონა, 1942 წელს—700.000 ტონა.

ხუთწლედის გეგმით დასახულ ტემპს ნავთის ამოღებისას საქართველოს ნავთის მუშაკები უეჭველად უზრუნველჰყოფენ. ამაში გვარწმუნებს ჩვენ საქართველოს მიწის წიაღში ნავთის უდიდესი მარაგის არსებობა და სტახანოველთა და დამკვირვალთა გულმოდგინე, ბოლშევიკური ბრძოლა ნავთისათვის.

ლ. პ. ბერიას ინიციატივამ და დახმარებამ ნავთის საბადოების გახოლინებისა და შესწავლის საქმეში ჩვენს ახალგაზრდა საბჭოთა გეოლოგებსა და მბურღავებს შესაძლებლობა მისცა უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაეფართოვებინათ საქართველოს სსრ ნავთიანი ფართობები.

მირზაანის ნავთის საბადოში ამჟამად უკვე გამოვლინებულია და დასამუშავებლად მომზადებულია უზარმაზარი ნავთიანი ფართობი, რომელზედაც გათვალისწინებულია ასობით საექსპლოატაციო ჭაბურღილის ბურღვა.

ჰატარა შირაქის საბადოში, რომელიც მდებარეობს იმავე ტექტონიურ ხაზზე, რომელზედაც მირზაანია, საძიებო ჭაბურღილების ბურღვის პროცესში მიღებული მაჩვენებლები გვარწმუნებენ, რომ ამ რაიონსაც მდიდარი პერსპექტივები აქვს.

ნორიო-მარტყოფში ღრმა საძიებო სამუშაობის ინტენსიური ჩატარება დამოკიდებულია დიდი და მეტად რთული სტრუქტურის არსებობაზე, მძლავრი ქვიშარი ქანებისა და გაზების უხვად არსებობაზე და ნავთის ნიშნებზე. გარდა ამისა, მაჩვენებლები № 16 კრელიუსური ჭაბურღილისა, რომელიც იძლეოდა 60-80-მდე ტონა შადრევნის ნავთს, და № 11, 2 და 4 ღრმა ჭაბურღილის ბურღვის პროცესში ნავთის ნიშნების გამოჩენა აგროვებენ ამ საბადოების ბრწყინვალე პერსპექტივებს.

კრელიუსური, ხოლო შემდეგში ღრმა საძიებო ჭაბურღილების მეტად კარგი მონაცემები სუფსა-ომფარეთის საბადოში შესაძლებლობას გვაძლევენ ეს საბადო ჯერ ადრევამდე ჩავთვალოთ საექსპლოატაციო ფართობად. ამ ფართობზე, რომელიც მდებარეობს შავი ზღვის ნაპირზე 50 კილომეტრის მანძილზე ქალაქ ბათუმიდან, № 3 და 5 ჭაბურღილებიდან მიღებულია სამრეწველო ნავთის პირველი ტონები. ამ ფაქტს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან იგი შესაძლებლობას გვაძლევს უფრო გაბედულად ვაწარმოოთ საძიებო სამუშაოები და დამუშავება დასავლეთ საქართველოს საბადოებისა.

ნავთის ამოღების მესამე ხუთწლედის გეგმის განხორციელებისა და უზრუნველყოფისათვის და საძიებო ფართობების რეზერვის შექმნისათვის საქართველოს ნავთის მუშაკებმა მკვეთრად უნდა გაადიდონ ბურღვის ტემპი და გაუთმჯობესონ ჭაბურღილების ბურღვის ხარისხი. მიუხედავად ამისა, ეს საკითხები საქართველოს ნავთის მრეწველობაში სრულიად უგულებელყოფილნი იყვნენ. ხალხის მტრები და მავნებლები, რომლებიც უკვე მხილებულნი არიან, ყველანაირად აჭიანურებდნენ და ფუშავდნენ საძიებელ სამუშაოებს და, მაშასადამე, საბჭოთა სახელმწიფოს უმალავდნენ უზარმაზარ ნავთიან ფართობებს.

ორდენოსანი მზიანი საქართველოს ტერიტორიაზე დიდი რაოდენობით არსებობს გეოლოგიური სტრუქტურები, რომლებიც ხელსაყრელია ნავთისა და გაზის ბუდობების შექმნისათვის, გარდა ოთხი საბადოსი, რომლების ძიება და დამუშავებაც ამჟამად სწარმოებს, საქართველოში ფიქსირებულია 700-მდე პუნქტი, სადაც მოიპოვება ნავთი და გაზი. ნავთი და გაზი ფიქსირებულია წრიული წყაროს, თბილისის, ლანჩხუთის, მახარაძის, ბაღდათის, ჭუთაისის, სოხუმის, გაგრის, ხარაგოულის, ონის, ამბროლაურის, ჯავის, დუშეთის, თელავის, სიღნაღის, საგარეჯოს, და საქართველოს სხვა რაიონებში.

ნავთის მარაგი ყველა კატეგორიის მიხედვით საქართველოს რაიონებში ნახევარ მილიარდ ტონას აღწევს. ეს ციფრი გრანდიოზულია, ვინაიდან ბაქოს საბადოების დამუშავების მთელი ხნის განმავლობაში (1837 წლიდან) ამოღებულია 400 მილიონამდე **ტონა.**

ჩვენი ამოცანაა მესამე ხუთწლედის განმავლობაში ჩავატაროთ საძიებო სამუშაოები შემდეგ საბადოებში: ჰატარა შირაქი, სუფსა-ომფარეთი, ნორიო-მარტყოფი, სამღვთო-საკუპრე, შავი ზღვის სანაპიროს დახურული სტრუქტურა, მლაშეს ხევი, ოვლეს-თავი, ტარიბანი და სხვ. აქედან სამრეწველო დამუშავებისათვის უნდა გადაეცეს ჰატარა შირაქის, სუფსა-ომფარეთის, ნორიო-მარტყოფის, სამღვთო-საკუპრეს საბადოები.

სამუშაოთა ორგანიზაციის და წარმოების სიძნელე, რაც გამოწვეულია ნავთის ფართობების დაქსაქსვით საქართველოს დიდ ტერიტორიაზე, ენერგეტიკული და ტექნიკური ბაზის, საცხოვრებელი სახლების უქონლობითა და სხვ.,— ყველაფერი ეს საჭიროებს ხდის საქნავთის ტრესტს აღმოეჩინოს ყოველმხრივი ყურადღება და დახმარება კავკასიის „გლავნეფტედობიჩის“ მხრივ.

ლ. მ. კაგანოვიჩის № 317 და 93 ისტორიულმა ბრძანებებმა საქართველოს ნავთის მრეწველობისადმი განსაზღვრეს ძირითადი ამოცანები, რომლებიც დასახულია ნავთის მუშაკთა წინაშე მესამე ხუთწლედის გეგმის შესრულებისათვის ბრძოლაში.

ძიების დარგში ჩვენს წინაშე დასახულია ამოცანა ფართოდ და გაბედულად გამოვიყენოთ ძიების გეოფიზიკური მეთოდები, რომლებიც უზრუნველჰყოფენ ნავთის შემცველი სტრუქტურების სწრაფ გამოვლინებასა და შესწავლას.

ჭაბურღილების ბურღვის დარგში გადაჭრილ უნდა იქნას წნევის საშუალებით ბურღვის პრობლემა, უნდა დაინერგოს სხვა მეთოდებიც, რომლებიც შესაძლებლობას მოგვცემენ ხელი ავიღოთ ძვირი ბარიტის გამოყენებაზე, რაც მეტად აფერხებს ახალი ჭაბურღილების ათვისებას.

საჭიროა ახლავე შეიქმნას ბაზები ჭაბურღილების საკვებად ნორმალური მაღალხარისხოვანი თიხიანი ხსნარით. დაწესდეს საქნავთის ჭაბურღილების ბურღვის სწორი რეჟიმი.

დამუშავების დარგში ჩვენს წინაშე დასახულია ჭაბურღილთა შორის რაციონალური მანძილის, ჰორიზონტების გამორკვევისა და სინჯვის მეთოდების, ჭაბურღილების კონსტრუქციის სწორი დაწესების და სხვ. ამოცანა.

და, ბოლოს, ექსპლოატაციის დარგში დაინერგოს ჭაბურღილების გამოკვლევა ექსპლოატაციის ოპტიმალური რეჟიმის დაწესების მიზნით. საქართველოს ნავთის მრეწველობას აქვს დიდი რეზერვი ნავთის ამოღების გადიდებისათვის ნავთის რამდენიმე ჰორიზონტის ერთდროული ექსპლოატაციით. საჭიროა უახლოეს ხანებში ჩატარდეს **სამეგრელოს** სამუშაოები ერთდროული ექსპლოატაციის დარგში და უფრო გაბედულად იქნას გამოყენებული ნავთის ექსპლოატაციის ეს მეთოდი.

საქართველოს ნავთის მუშაკთა ფიდიდესი შრომითი აღფრთოვანება, რომელიც გამოწვეულია უკრაინის ნავთის მუშაკთა მიმართვით სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ, გვინერგავს რწმენას, რომ ყველა ამოცანას, რომელიც დასახული გვაქვს სათბობით ჩვენი ქვეყნის მომარაგების დარგში, შევასრულებთ მთლიანად და გადაჭარბებით. სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც ამ დღეებში ნავთის მუშაკთა შორის გაჩაღდა, სარეწაოებსა და ტრესტების მეთაურებისაგან მოითხოვს სტახანოველებისადმი რეალურ დახმარებასა და ხელმძღვანელობას, — შრომის ისეთი პირობების შექმნას, რომლებიც უზრუნველჰყოფენ ამოღების დაუყოვნებლივ ზრდას.

მუშაობენ რა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით და ასრულებენ რა ლ. მ. კაგანოვიჩის № 317 და 93 ბრძანებებს, საქართველოს ნავთის მუშაკები დარწმუნებული **არიან,** რომ საქართველოში ნავთის ბაზა—მესამე სტალინური ხუთწლედის პირმშო—შექმნილი იქნება.

„საქნავთის“ მოწინავე ადამიანები (ზევიდან ქვევით): მირზაანის № 94 ჭაბურღილის სტახანოველი მემბურღეე **ს. კორვალიძე** და მუშა-ქალები **მ. სუკაჩოვა** და **ა. სავინა,** კოშკების სამონტაჟო ბრიგ. უფროსი **მ. ოვჩინიკოვი.**
ფოტო ე. სილდირიანცისა.

„საქნავთის“ მოწინავე ადამიანები (ზევიდან ქვევით): № 94 ჭაბურღილის უფროსი **მ. ავაქოვი,** № 6 ჭაბურღილის მბურღავი **ფაშაევი მუსა** № 95 ჭაბურღილის ბურღვის ოსტატი **ა. რომანოვი,** მიწისქვეშა რემონტის ოსტატი **მ. ჯიოევი** (დაწინაურებულია ინჟინერ-ნორმადრად).
ფოტო ე. სილდირიანცისა.

ჰავასის სააგენტო ზაღცბურგში გერმანიისა და იტალიის მინისტრების შეხვედრის შესახებ

პარიზი, 13 აგვისტო (საკდესი). ჰავასის სააგენტოს ბერლინელი კორესპონდენტი ჩერდება იტალიისა და გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე, რაც მოხდა ზალცბურგში, და სწერს:

„წარმოადგენს თუ არა ზალცბურგში მომხდარი შეხვედრა „რომი-ბერლინის ღერძის" მონაწილე პარტნიორების აზრთა გაცვლა-გამოცვლას მოქმედების წინ? გერმანული გაზეთების კითხვა, რომლებიც ცოფს ყრიან პოლონეთის წინააღმდეგ, გვარწმუნებს, რომ ეს ასეა. გერმანიის მოსახლეობა შეშფოთებულია. ჩეხოსლოვაკიის კრიზისის უაღრესად მწვავე მომენტებშიც კი არა ყოფილა ბერლინის ქუჩებში და გერმანიის გზებზე ამდენი სამხედრო ავტომობილი და სატვირთო მანქანა, რამდენიც ახლა არის. ბენზინის მოხმარება ახლანდელისავით არასოდეს არა ყოფილა ნორმირებული. სწარმოებს არმიაში სათადარიგოთა გაწვევა და მუშების მობილიზაცია".

კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ „გერმანელები", ამწვავებენ რა კონფლიქტს პოლონეთთან მაშინ, როდესაც იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი გერმანიაში იმყოფება, ცდილობენ უფრო მეტად ჩააბან იტალია გერმანიის მოთხოვნებისათვის მხარდაჭერის საქმეში. მაგრამ, კორესპონდენტის სიტყვით, იტალიის მიერ გერმანიისათვის მხარდაჭერა სრულიადაც არ არის ისე უზრუნველყოფილი, როგორც ეს გერმანელ პუბლიცისტებს სურთ. სამხრეთ ტიროლიდან გერმანელთა გასახლებას იტალიელები და გერმანიის პოლიტიკური წრეები სხვადასხვანაირად აფასებენ. გერმანიის თანხმობას სამხრეთ ტიროლიდან გერმანელთა გადასახლებაზე გერმანელები აფასებენ როგორც ავანსს, რაც მიეცა იტალიის მთავრობას იმ დახმარებისათვის, რომელიც მან მომავალში გერმანიას უნდა გაუწიოს. იტალიაში კი, პირიქით, ტიროლელი გერმანელების გასახლებაზე გერმანიის თანხმობა მიაჩნიათ იმ სამსახურის საფასურად, რომელიც გერმანიას წარსულში აღმოუჩინა".

შემდეგ კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ დადის ხმები, თითქოს გერმანიამ ამ ცოტა ხნის წინათ უნგრეთს მიჰმართა წინადადებებით, რომელთა აზრი ის არის, რომ „უნგრეთის რევიზიონისტული მოთხოვნებისათვის სრული მხარდაჭერის დაპირების სამაგიეროდ უნგრეთი უფრო მჭიდროდ დაემორჩილოს გერმანიას ეკონომიურად და პოლიტიკურად".

„საქნავთის" მოწინავე ადამიანები (მარცხნიდან მარჯვნივ): პატარა შირაქის №6 სამებო ჭაბურღილის სტახანოველები—ნ. ყურდევი, მ. შიმჩენკო, მ. შუმილოვი, ს. მირონოვი, მირზაანის № 94 ჭაბურღილის სტახანოველი მემანქანე გ. ზურაშვილ, № 6 ჭაბურღილის სტახანოველი მბურღავი გრ. არზამასოვი, მირზაანის № 95 ჭაბურღილის სტახანოველი მზეთავები მ. ჟილინი და მ. კოლბასიუკი და მემუხრუჭე ფ. ომელიანენკო.

ფოტო ე. სილდირიანცისა.

გერმანია-უნგრეთის შეთანხმების პროექტი

პარიზი, 13 აგვისტო (საკდესი). ფურნიეს სააგენტოს ბერლინელი კორესპონდენტი იუწყება, რომ გერმანიამ წინადადებით მიჰმართა უნგრეთის მთავრობას დადებულ იქნას პოლიტიკური და სამაჟო შეთანხმება. ამ შეთანხმებით გერმანია ჰპირდება, რომ კონფლიქტის შემთხვევაში მხარს დაუჭერს უნგრეთის მოთხოვნებს სემიგრადიის ტერიტორიებზე, რომლებიც ამჟამად რუმინეთს ეკუთვნის.

გარდა ამისა, გერმანიის მთავრობამ მოსთხოვა უნგრეთს „ერთგვარი ავტონომია მიანიჭოს უნგრეთის გერმანულ უმცირესობას".

ინგლისის საწინააღმდეგო დემონსტრაციები ჩრდილოეთ ჩინეთში

ტოკიო, 13 აგვისტო (საკდესი). ბეიპინში 12 აგვისტოს ჩატარდა ინგლისის საწინააღმდეგო დემონსტრაცია, რომლის მონაწილეებმა ინგლისის საელჩოს შენობას ჩაუარეს. დემონსტრაციის დაწყებამდე გაიმართა მიტინგი ლოზუნგით: „ძირს ინგლისი".

ქალაქ სინსიანიდან (შანსის პროვინცია) იაპონიის ხელისუფლების ზეგავლენით მოხდა ოთხი ინგლისელი მისიონერის ევაკუაცია. ამრიგად ამ რაიონიდან წავიდა ინგლისის ყველა რეზიდენტი.

მუშათა დემონსტრაცია

ნიუ-იორკი, 13 აგვისტო (საკდესი). გუშინ გაიმართა მუშათა დემონსტრაცია, რომელიც მიეძღვნა ნიუ-იორკის შტატის შრომის ფედერაციის (პროფკავშირთა გაერთიანება) მე-76 ყრილობას. დემონსტრაცია 6 საათზე მეტ ხანს გრძელდებოდა. მასში მონაწილეობას იღებდა მრეწველობის სხვადასხვა დარგის 150 ათასი მუშა. დემონსტრაციას მიესალმა ნიუ-იორკის მერი ლა გარდია. დემონსტრაცია მიმდინარეობდა დემოკრატიის დაცვის ლოზუნგით.

გაურთხილებლად უცხოელ ჟურნალისტებს ბუდაკეშტში

ლონდონი, 13 აგვისტო (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, გუშინ ბუდაპეშტში მყოფი უცხოელი კორესპონდენტები საგარეო საქმეთა სამინისტროში მიიწვიეს, სადაც ისინი გააფრთხილეს, რომ თუ ისინი გავრცელებულ ხმებს საფუძველზე გადასცემენ ცნობებს იმის შესახებ, რომ გერმანია პრემიერ მინისტრ ტელეკის გადადგომას მოითხოვს, მაშინ ისინი გაძევებულ იქნებიან 24 საათის განმავლობაში. საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა, რომელმაც კორესპონდენტებს აცნობა ამის შესახებ, განაცხადა, რომ ასეთი განკარგულება მიღებულია უშუალოდ ტელეკისაგან.

ვ. ი. ბაჟენოვი

(გარდაცვალებიდან 140 წლისთავის შესრულების გამო)

გამოჩენილი რუსი არქიტექტორის ვ. ი. ბაჟენოვის მოღვაწეობით იწყება რუსული კლასიკური არქიტექტურის ისტორია. ვ. ბაჟენოვი, რომელიც დაიბადა 12 მარტს 1737 წ., დაბალი ფენიდან არის გამოსული; მამამისი მწთე იყო. მიუხედავად სიღარიბისა, ჰაბუკმა ბაჟენოვმა თავისი დიდი ნიჭით შესძლო გზის გაკაფვა. ჯერ იგი მოსკოვის სლავურ-ბერძნულ-ლათინურ აკადემიაში სწავლობდა, შემდეგ არქ. უხტომსკის საარქიტექტურო სკოლაში გადავიდა. 1755—58 წლებში მოსკოვის უნივერსიტეტში უცხო ენებს სწავლობდა, ხოლო 1758 წელს მიიღეს პეტერბურგის ახლად დაარსებულ სამხატვრო აკადემიაში. იქ მისი პირველი მასწავლებელი იყო არქ. ს. ჩევაკინსკი, ხოლო 1759 წლიდან — ცნობილი ფრანგი არქიტექტორი აკადემიკოსი ვალენ-

ტინ ლამატი. აკადემიის დასრულების შემდეგ ბაჟენოვი ცნობილი იტალიელი არქიტექტორის რასტრელის თანაშემწედ მუშაობდა. 1760 წელს გაიგზავნა პარიზში, სადაც სწავლობდა შესანიშნავ არქიტექტორის დევალიის ხელმძღვანელობით. 2 წლის შემდეგ პარიზის აკადემია ოქროს მედალით დაასრულა და გაიგზავნა იტალიაში. რომში ახალგაზრდა რუსმა არქიტექტორმა დიდი წარმატებები მოიპოვა. მალე მას მიანდეს რომის სამხატვრო აკადემიის პროფესორის წოდება და აირიცხეს ფლორენციისა და ბოლონიის აკადემიების წევრად. რომში მუშაობის დროს ბაჟენოვი მონაწილეობდა ცნობილი კაპიტოლიუმის კიბის მშენებლობაში.

1765 წელს უკვე სახელგანთქმული ბაჟენოვი დაბრუნდა პეტერბურგს და მოაწყო თავისი სახელოვნებო ნაწარმოების გამოფენა, რომელმაც საერთო ყურადღება მიიპყრო. რუსეთის მთავრობამ მას არქიტექტორის აკადემიკოსის წოდება მიანიჭა. მაშინ ვ. ბაჟენოვი 28 წლისა იყო.

ამდენხანს ვ. ბაჟენოვის კარიერა ბრწყინვალედ ვითარდებოდა. რუსეთში დაბრუნების შემდეგ დაიწყო ნიჭიერი შემომქმედის ტრაგედია. ვ. ბაჟენოვმა შეადგინა სრული ინსტიტუტის შესახებშესავი პროექტი, მაგრამ იგი გახუხორციელებელი დარჩა. ეკატერინე II მეფობის დროს ნიჭი და დიდი გალანტლება თავისთავად არაფერს ნიშნავდა. საჭირო იყო „დიდი კაცის" გამოქომაგება. ასეთ ქომაგად ვ. ბაჟენოვს მოევლინა ეკატერინეს ფავორიტი გრ. ორლოვ, რომლის დახმარებით ახალგაზრდა არქიტექტორმა ეკატერინეს დედაქალაქში ძლიერ მოიწონა ვ. ბაჟენოვის იდეა მოსკოვის კრემლის გადაკეთების შესახებ და ნება დართო დაეწყო მუშაობა. ბაჟენოვი გადავიდა მოსკოვს და შეადგინა კრემლის გადაკეთების გრანდიოზული პროექტი, რომლის განხორციელება 30 მილ. ანუთი ვერცხლი მოითხოვდა. მართლაც ახალი კრემლის მაკეტი ($^1/_{48}$ ნატურალური სიდიდისა) დაიწყო 40.000 მანეთი ოქროთი. პროექტით უნდა აგებულიყო ერთი უზარმაზარი შენობა, რომელიც თავის კომპლექსში ათავსებდა კრემლის ყველა ძველ ნაგებობას. ერთი წლის შემდეგ ყოველგვარი მუშაობა შეწყდა. კრემლის გადაკეთების პროექტი არ განხორციელდა, დარჩა მხოლოდ მაკეტი, რომელიც ახლაც უძვირფასეს არქიტექტურულ ძეგლად ითვლება.

გამოურკვეველი მიზეზების გამო ბაჟენოვი შეიძულა ეკატერინემ, ნიჭიერი არქიტექტორი იძულებული გახდა კუნძულ სახალინის მშენებლობა დაეწყო. ამ პერიოდს (1787—1792 წ.) ეკუთვნის მის მიერ აგებული შესანიშნავი შენობები: პეტროვსკის სახლი მოხოვაიაზე (შემდეგ რუმიანცევის მუზეუმი), იუსკოვის სახლი მიასნიცკაიაზე, დოლგოვისა მეშჩანსკაიაზე და სხვები. ამავე პერიოდში მოსკოვში მან გაუხსნა არქიტექტურული სკოლა.

15 აგვისტოს 1799 წელს ვ. ბაჟენოვი გარდაიცვალა გულის შენკით.

ვ. ბაჟენოვის უმთავრესი პროექტები განუხორციელებელი დარჩა. მიუხედავად ამისა, მან უდიდესი როლი ითამაშა რუსეთის არქიტექტურის განვითარებაში. ფრანგების გალამაზებული და განაზებული იტალიური ბაროკოს ელემენტები მან მოხერხებულად შეაზავა რუსულ ხალხურ შემოქმედებასთან და სიფუძველი ჩაუყარა რუსულ კლასიკურ არქიტექტურას. მის ნაშრომებზე გაიზარდა რუსი არქიტექტორების მთელი თაობები. მისი მოწაფე და მისი სკოლის განმგრძობი იყო მეორე ცნობილი რუსი არქიტექტორი ჯოროვნინი.

ვ. ბაჟენოვი ღრმასეულად მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს დაფასდა. მის შესანიშნავ პროექტებს და ნახატებს მაკეტს, რომელიც მხოლოდ საბჭოთა მეცნიერებმა აღადგინეს (იგი დაშლილი ეწყო რუმიანცევის მუზეუმში), გულდასმით სწავლობენ საბჭოთა არქიტექტორები.

ე. ნარიძე.

ბავშვთა საკავშირო შეჯიბრება ცურვაში

ბავშვთათვის ხელყუმბარით ცურვაში შეჯიბრება საბჭოთა კავშირში პირველად იქნა ჩატარებული. 25 მეტრზე ხელყუმბარებით ცურვაში გოგონებს შორის (13—14 წლის ასაკი) პირველობა მოიპოვა სამსონოვამ (ბელორუსია), რომელმაც დისტანცია გაასცურა 0:19,0 წამში. მან ჭებში გამარჯვებული გამოვიდა ფეოკტისტოვი (0:17,3 წამი).

უფროსი ასაკის (15—17 წლის) გოგონებში 50 მეტრზე ხელყუმბარით ცურვაში გაიმარჯვა ცვეტკოვამ (ლენინგრადი). მან დისტანცია გასცურა 0:39,8 წამში. ვაუებს შორის პირველობა მოიპოვა იურგენსმა (0:33,7). ამავე ასაკის გოგოებში 100 მეტრზე „ბრასის" სტილით ცურვაში ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა შელემიევამ (1:25,8). ვაუებში გამარჯვება ჟოპოვა ვინოგრადოვმა (ლენინგრადი).

საინტერესოდ მიმდინარეობდა შეჯიბრება 100 მეტრზე ველოსიპედით ცურვაში. უცროსი ასაკის გოგოებს შორის ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა ნოვიკოვამ (უკრაინა), რომელმაც დისტანცია დაფარა 1 წუთში 28,9 წამში.

განსაკუთრებით დიდი ინტერესი გამოწვია შეჯიბრებამ ესტაფეტაში, რომელშიც მონაწილეობდნენ უძლიერესი მოცურავეები ასაკის გოგონებს შორის ესტაფეტაში (4×50 მეტრზე) საუკეთესო შედეგი უკრაინის გუნდს ჰქონდა, რომელმაც დისტანცია 200 მეტრი გასცურა 2 წუთში 37,1 წამში, ეს შედეგი ახალ საკავშირო რეკორდად იქნა ცნობილი. იგივე დისტანცია ლენინგრადის ბიჭების გუნდმა გასცურა 2 წუთში 03,5 წამში, რითაც დაამყარა ახალი საკავშირო რეკორდი. მეორე ადგილზე გამოვიდა საქართველოს გუნდი (2:08,2 წუთი). ეს შედეგებიც საქართველოს ახალი რეკორდია.

უფროსი ასაკის მონაწილეებისათვის ესტაფეტაში შეჯიბრება 4×100 მეტრზე მიმდინარეობდა. გოგონებს შორის პირველ ადგილზე გამოვიდა მოსკოვის გუნდი (4:37,7 წ.). ვაუებს შორის გაიმარჯვა ბელორუსიის გუნდმა (4:44,3 წამი).

შეჯიბრება გრძელდება.

ფეხბურთი

თბილისის ღა ბათუმის „დინამოს" მაჭრი

გუშინ ლ. ბერიას სახელობის სტადიონზე შესდგა თბილისისა და ბათუმის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდების მატჩი სსრკ თასზე.

მატჩი დამთავრდა თბილისელების გამარჯვებით ანგარიშით 5:3.

ბათუმის „დინამო" გამოვიდა სსრკ თასის გათამაშებიდან.

ამ დღეებში თბილისის „დინამო" მოსკოვს გაემგზავრება, სადაც 20 აგვისტოს ჩატარებს მორიგ მატჩს სსრკ თასზე.

„სპარტაკის" გამარჯვება

გუშინ მოსკოვში შესდგა მოსკოვის გუნდების „სპარტაკისა" და „ლოკომოტივის" შეჯიბრება სსრკ თასზე. მატჩი მოგო „სპარტაკმა" (1:0).

ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლი

15 აგვისტოს ორჯონიკიძის სახელობის რაიკომის პარტკაბინეტში—ამხ. ქუთათელაძის ლექცია თემაზე: იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია. ქართულ ენაზე. დასაწყისი საღ. 8 საათზე.

ლენინის სახელობის რაიკომის პარტკაბინეტში — ამხ. გაბუნიას ლექცია თემაზე: ლენინის წიგნზე — „რა ვაკეთოთ?". ქართულ ენაზე. დასაწყისი საღ. 8 საათზე.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

ს ი ა

დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლების სავალდებულო სახელმძღვანელოებისა 1939-40 სასწავლო წლისათვის

	გამოცემის წელი	
I კ ლ ა ს ი		
ვ. ძიძიგური, ალ. გვახარია—დედაენა ნაწ. I	1938	1939
ვ. ძიძიგური, ალ. გვახარია—დედაენა ნაწ. II	1938	1939*
ნ. ჯოჯოხია—არითმეტიკა	1938	1939
პროფ. ვ. თოფურიას რედაქციით—ქართული წერის დედანი	—	1939
II კ ლ ა ს ი		
ნ. ძიძიგური—ქართული ენის სახელმძღვანელო	1938	1939
ნ. ჯოჯოხია—არითმეტიკა	1938	1939
პროფ. ვ. თოფურიას რედაქციით—ქართული წერის დედანი	—	1939
III კ ლ ა ს ი		
თ. ასლანიშვილი, ა. ხუბუტია—ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელო	1938	1939
ჯ. წულუკიძე, ვ. ჟიფიანი—Русский язык	1938	1939
ნ. ჯოჯოხია—არითმეტიკა	1937/38	1939
ა. ხარაბაძე—არითმეტიკული ამოცანათა კრებული	1937/38	1939
ვ. ტეტურაშვილი—ბუნებისმეტყველება	1937/38	1939
დ. დოლიძე—გეოგრაფია, ნაწ. I	1938	1939
პროფ. ა. ვ. შესტაკოვის რედაქციით—სსრკ ისტორია (მოკლე კურსი)	1938	1939*
IV კ ლ ა ს ი		
შ. თაბუკაშვილი, ო. შარაბიძე—ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელო	1937/38	1939
ს. ფურცელაძე—Русский язык	1938	1939
ნ. ჯოჯოხია—არითმეტიკა	1937/38	1939
ვ. ტეტურაშვილი — ბუნებისმეტყველება	1937/38	1939
დ. დოლიძე—გეოგრაფია, ნაწ. II	1938	1939
ა. ხარაბაძე—არითმეტიკული ამოცანათა კრებული	1937/38	1939
პროფ. ა. ვ. შესტაკოვის რედაქციით—სსრკ ისტორია (მოკლე კურსი)	1938	1939*
V კ ლ ა ს ი		
შ. თაბუკაშვილის და ს. გაჩეჩილაძის მიერ შედგენილი—ქართული ლიტერატურის ქრესტომატია	1938	1939*
ა. შანიძე—ქართული ენის გრამატიკა	—	1939*
ს. ფურცელაძე—Русский язык	1938	1939
ა. კისელევი—არითმეტიკა	1938	1939
ა. ხარაბაძე—არითმეტიკულ ამოცანათა კრებული	1938	1939*
ვ. მეტრეველი, შ. ჩუბინიძე—ბოტანიკა	1937/38	1939*
ა. ბარკოვი, ა. პოლოვინკინი — ფიზიკური გეოგრაფია	1937/38	1939*
ლ. კამინსკაია, ე. ჩაკლინა—გერმანული ენა ნაწ. I (გადამუშავებული ი. ყიფშიძის და სხვ. მიერ)	1938	1939
მ. ტარასოვა, ო. გოლოდეცკაია—ფრანგული ენა, ნაწ. I (გადამუშავებული: ი. გვარჯალაძის და ი. კავკაძის მიერ)	—	1939*
ი. გოლდინი და მ. კუზნეც—ინგლისური ენა ნაწ. I (გადმოკეთებული ირ. ტატიშვილის მიერ)	—	1939*
პროფ. ვ. თოფურია—რუსულ-ქართული ლექსიკონი	1938	1939*
პროფ. გ. ახვლედიანი და პროფ. ვ. თოფურია—ქართულ-რუსული ლექსიკონი	—	1939*
VI კ ლ ა ს ი		
პროფ. ვ. თოფურია—რუსულ-ქართული ლექსიკონი	1938	1939*
პროფ. გ. ახვლედიანი და პროფ. ვ. თოფურია—ქართულ რუსული ლექსიკონი	—	1939*
ა. ბჟალიძის და ი. სიხარულიძის მიერ შედგენილი — ქართული ლიტერატურის ქრესტომატია	1938	1939
ა. შანიძე—ქართული ენის გრამატიკა	—	1939*
ს. ფურცელაძე—Русский язык	1938	1939
ა. კისელევი—ალგებრა ნაწ. I	1936-37-38	1939*
ნ. შაპოშნიკოვი, ნ. ვალცოვი—ალგებრულ ამოცანათა კრებული, ნაწ. I	1937/38	1939*
ჯ. მეტრეველი, შ. ჩუბინიძე—ბოტანიკა	1937/38	1939*
ჯ. მეტრეველი, მ. ფაჩუაშვილი—ზოოლოგია	1937/38	1939*
ვ. ვერხოვსკი—არაორგანული ქიმია	1937/38	1939*
ზ. კლიმიაშვილი — საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია	1938	1939
ნ. ბარანსკი — საბჭოთა კავშირის ფიზიკური გეოგრაფია, ნაწ. I	1938	1939*
ხ. ჩუფრანოვი—საბჭოთა კავშირის ფიზიკური გეოგრაფია, ნაწ. II	—	1939*
ვ. მორდოვნი—ტექნიკური ხაზვის საფუძვლები	1936-37-38	—
VII კ ლ ა ს ი		
პროფ. ვ. თოფურია—რუსულ-ქართული ლექსიკონი	1938	1939*
პროფ. გ. ახვლედიანი და პროფ. ვ. თოფურია—ქართულ-რუსული ლექსიკონი	—	1939*
ბ. ჟღენტის და სხვ. მიერ შედგენილი—ქართული ლიტერატურის ქრესტომატია	1938	1939*
ა. შანიძე—ქართული ენის გრამატიკა	—	1939*
ს. ვაჩნაძის და სხვ. მიერ შედგენილი—Русский язык	1938	1939
ა. კისელევი—ალგებრა, ნაწ. I	1936-37-38	1939*
ნ. შაპოშნიკოვი, ნ. ვალცოვი—ალგებრულ ამოცანათა კრებული, ნაწ. I	1936-37-38	1939*
ა. კისელევი—გეომეტრია (პლანიმეტრია)	1938	1939*
ნ. რიბკინი—გეომეტრიის (პლანიმეტრიის) ამოცანათა კრებული	1936-37-38	1939
გ. ფალეევი და ა. პერიშკინი — ფიზიკა, ნაწ. II	1937/38	1939*
ჯ. მეტრეველი, მ. ფაჩუაშვილი—ზოოლოგია	1937/38	1939*
ვ. ვერხოვსკი—არაორგანული ქიმია	1937/38	1939*
ზ. კლიმიაშვილი — საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია	1938	1939
ნ. ბარანსკი — საბჭოთა კავშირის ფიზიკური გეოგრაფია, ნაწ. I	1938	1939*
ხ. ჩუფრანოვი—საბჭოთა კავშირის ფიზიკური გეოგრაფია, ნაწ. II	—	1939*
ვ. მორდოვნი—ტექნიკური ხაზვის საფუძვლები	1936-37-38	—
VIII კ ლ ა ს ი		
პროფ. ვ. თოფურია—რუსულ-ქართული ლექსიკონი	1938	1939*
პროფ. გ. ახვლედიანი და პროფ. ვ. თოფურია—ქართულ-რუსული ლექსიკონი	—	1939*
ნ. ბარანსკი — ს. ს. რ. კ. ეკონომიური გეოგრაფია	—	1939*
აკ. შანიძის და სხვ. მიერ შედგენილი — ძველი ქართული ენა და ლიტერატურა	1937/38	1939*
პროფ. გ. ახვლედიანის და სხვ. მიერ შედგენილი—Хрестоматия по русской литературе	1938	1939
ა. კისელევი—ალგებრა ნაწ. II	1937/38	1939*
ა. კისელევი—პლანიმეტრია	1938	1939*
ნ. რიბკინი—გეომეტრიის (პლანიმეტრიის) ამოცანათა კრებული	1936-37-38	1939
ნ. რიბკინი—ტრიგონომეტრია	1937/38	1939
ნ. რიბკინი—ტრიგონომეტრიის ამოცანათა კრებული	1937/38	1939*
ი. სოკოლოვი—ფიზიკის კურსი, ნაწ. I	1938	1939
კ. ვოლკოვა, ნ. დემიდოვი, გ. ფედორა-ვიჩი და სხვ. ფიზიკის ამოცანათა კრებული	1938	1939*
ვ. ვერხოვსკი—არაორგანული ქიმია	1937/38	—
კ. კაბანოვი—ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგია	1937/38	1939
პროფ. გ. ახვლედიანი—Грамматика русского языка	1938	1939
მ. ჩიქოვანის რედაქციით—ხალხური სიტყვიერება	1938**	1939*
ვ. გორდოვნი—ტექნიკური ხაზვის საფუძვლები	1938	1939
ნ. შლოტჰაუერი და ე. ჩაკლინა—გერმანული ენა ნაწ. II (გადამუშავებული ი. ყიფშიძის და სხვ. მიერ)	1936-37-38	—
IX კ ლ ა ს ი		
აკ. შანიძის და კ. გამსახურდიას მიერ შედგენილი დასავლეთ ევროპის ლიტერატ. ქრესტომატია	—	1939*
შ. თაბუკაშვილის მიერ შედგენილი—მოძმე საბჭ. რესპუბლ. ლიტერატ. ქრესტომატია	—	1939*
ვიტვერი — კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიური გეოგრაფია	—	1939*
პროფ. ვ. თოფურია - რუსულ-ქართული ლექსიკონი	1938	1939*
პროფ. გ. ახვლედიანი და პროფ. ვ. თოფურია—ქართულ-რუსული ლექსიკონი	—	1939*
გ. ნატროშვილის და სხვ. მიერ შედგენილი—ქართული ლიტერატურის ქრესტომატია (XIX საუკ.)	1938	1939*
პროფ. გ. ახვლედიანის და სხვ. მიერ შედგენილი—Хрестоматия по русской литературе	1938	1939
პროფ. გ. ახვლედიანი—Грамматика русского языка	1938	1939*
ა. კისელევი—ალგებრა, ნაწ. II	1937/38	1939*
ნ. შაპოშნიკოვი და ნ. ვალცოვი—ალგებრულ ამოცანათა კრებული, ნაწ. II	1937/38	1939
ნ. რიბკინი—ტრიგონომეტრია	1937/38	1939
ნ. რიბკინი—ტრიგონომეტრიის ამოცანათა კრებული	1937/38	1939*
ნ. რიბკინი—გეომეტრიულ (სტერეომეტრიის) ამოცანათა კრებული	1936-37-38	1939
ნ. რიბკინი—გეომეტრიულ (სტერეომეტრიის) ამოცანათა კრებული	1938	1939*
ი. სოკოლოვი—ფიზიკის კურსი, ნაწ. II	—	1939*
კ. ვოლკოვა, ნ. დემიდოვი, გ. ფედორა-ვიჩი და სხვ. ფიზიკის ამოცანათა კრებული	1936-37-38	—
ვ. ტიტოვი და ვ. ვალიკო—მინერალოგია-გეოლოგია	1937/38	1939*
ვ. გორდოვნი—ტექნიკური ხაზვის საფუძვლები	1936-37-38	—
ვ. ვერხოვსკი—ორგანული ქიმია	1938	1939*
ნ. ბაბოკოვი—ასტრონომია	—	1939*

შ ე ნ ი შ ვ ნ ა:

*) ვარსკვლავით აღნიშნული სახელმძღვანელოები გადაცემულია წარმოებაში და გამოიცემა.

**) პროფ. გ. ახვლედიანის „Грамматика русского языка" (1938 წლის გამოცემა) განკუთვნილია მასწავლებელთათვის, ხოლო 1939 წ. გამოცემა—მოწაფეთათვის.

საქ. ხ. ს. რ. განათლების სახალხო კომისარი გ. კიკნაძე

საქ. სახელმწიფო გამომცემლობის დირექტორი ნ. კიკნაძე

სახელმწიფო საზაფხულო თეატრი და ბაღი
(პლეხანოვის პროსპ. № 123, ტელ. № 3-18-50)

საზაფხულო თეატრი
15 აგვისტოს
მუდმივი ადგილ. ტალონი № 79
რ ო ზ - მ ა რ ი
მუს. კომ. 3 მოქ.
სამხატვრო ხელმძღვანელი ა. ნ. ოლგარი
დასაწყისი საღამოს სრულ 9 საათზე
სალარო ღიაა დილ. 11 საათ. 3 საათ., საღამოს 6 საათ. 14 საათ.

დახურული თეატრი
15 აგვისტოს
სვერდლოვის მინიატურის თეატრის გასტროლები
კონფერანსიე: ა. ლიბანსკი.
დაწერილებით აფიშებში.
დასაწყისი საღამოს 10 საათზე
ბილეთები იყიდება.

ლ ი ა ესტრადა
15 აგვისტოს
მხატვრული კინოფილმი
დასაწყისი საღამოს 10 საათზე.
ბაღში სასიამოვნო ორკესტრი ხანგამოვის ხელმძღვანელობით.

საქ. სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური გამგეობის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ირაკლი ბურჯულაძეს მისი დისშვილის
პატარა გრიშას
გარდაცვალების გამო. 2800

საქ. გზატკეცილებისა და ხიდრიტებ. მშენებლობის პ/კავშირის რესპ. კომიტეტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ამავე კომიტეტის თანამშრომლის ექ. დ. მგალობლიშვილის დედის
მარიამ ჭუჭუს-ასულ მგალობლიშვილის
გარდაცვალების გამო. 2802

მეუღლე აკაკი, შვილი თემიკო, გამამხიარულებელი იოსებ ტატიშვილები, დედა ოლღა ხიმშიაშვილი იუწყებიან, რომ 18/VIII. 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია დაუვიწყარ
ნინო ილიას-ასულ ტატიშვილის
სამოქალაქო პანაშვიდი. 2796

საქართველოგრაფილმი ქვის წარმოების მუშა-მოსამსახურენი თანაგრძნობას უცხადებენ ამავე წარმოების თანამშრომელ ამხ. ამბერკი მეგრელიშვილს მისი მამის
არჯევანის
გარდაცვალების გამო. დაკრძალვა 17/VIII ჩოხატაურში. 2798

გერმანე, კატუშა სადრაძეები, მაშა ჯაფარიძე, ქრისტეფორე ქვირია, შალიკო გაბისონია, ტარასი ვამაკიძე, გრიშა გოგასვანიძე, იაგორ ელიავა, შალიკო ხარაშვილი, სოკრატ შენგელია იუწყებიან ამბერკი მეგრელიშვილის მამის
არჯევანის
გარდაცვალებას. 2799

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28 ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, ჯ.-მმ. მდივნის მოადგილისა 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის—3—81—84, სასოფლო • სამეურნეოს—3—73—40, საბჭოთა მშენებლობის და განათლება-ჯანმრთელობის—3—80—83, მრეწველობისა და ინფორმაციის—3—80—84. წერილების—3—73—24, 3—80—81, ჯ.-მმ. მორიგის—3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული ა—290